# საქართველო

## რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№67-68 (9898-9899) 2025 წლის 12 მაისი, ორშაბათი

ღია წერილი ხელისუფლებას!

# სახელმწიფოებრივი ცნობიერების დეფიციტი

## „უჩემოდ ვინ იმღერეთა“!






იხ. 2-3 გვ.

უსამშობლოებთან პატრიოტების რაიმე სახის კოჰაბიტაცია აბსოლუტურად შეუძლებელია. აი, მათთან დაპირისპირებაში გამარჯვებულ პატრიოტულ ძალას ექნება შანსი, სახელმწიფოებრივი მრწამსის, შეგნების, ცნობიერების მატარებელი გახდეს!

# არა ომს!



## რომის ახალმა პაპმა ვატიკანში შეკრებილებს მიმართა

ამ კვირაში არჩეულმა რომის ახალმა პაპმა ლეო XIV-მ ვატიკანში, წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილებს საკვირაო მესის შემდეგ პირველად მიმართა.

კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელმა მოედანზე შეკრებილები დალოცა, მათ წინაშე სიტყვით წარდგა და მსოფლიო ლიდერებს მოუწოდა „აღარ იომონ“.

„არა ომს“, – განაცხადა პაპმა. მან მხარეებს უკრაინაში „ჭეშმარიტი, სამართლიანი და მყარი მშვიდობის“ დასამყარებლად მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა და ასევე აღნიშნა, რომ ღრმად დამწუხრებულია ღაზაში მიმდინარე ომის გამო. ლეო XIV-მ ისრაელსა და „ჰამასს“ ცეცხლის დაუყოვნებლივი შეწყვეტისკენ, მძევლების გათავისუფლებისკენ და ღაზის მცხოვრებლებისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევისკენ მოუწოდა.

რომის პაპის შესახებ მასალები იხ. 11 გვ.

## პუტინი VS სტალინი – „ჩანაცვლების ოპერაცია“



იხ. 12 გვ.

ვინ ვის ატყუებს?!



7

## ბრინჯივით დაბნეულო

ზურაბიშვილო, ე, მანდ ფეხი არსად დაგიცდეთ!!!

ეს ჩვენი ისტორიაა



## მეგრელთა საქმე

8 9

## „თვითმფრინავის ბიჭები“ – სიმართლე მითების წინააღმდეგ...



იხ. 4-5 გვ.

თეონა ჭედია: ცრუ გმირების ჰეროიზაცია საშიშია საზოგადოებისთვის!



შოთა დარბუაშვილი:

## და ცოტაც, უნდა მაცალო!

13

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



**დიდი გერმანელი მოაზროვნე ჰანს მაგნუს ენცენბერგერი, მსოფლიო მასშტაბით ერებს რომ ახასიათებს, საქებარ სიტყვებს არ იშურებს ქართველების მიმართ: ქართველი ერი ერთ-ერთი უძველესი ერია, მას ჩვენზე ბევრად ძველი ისტორია აქვს, მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და ცივილიზაციის მემკვიდრეა, მაგრამ იგი სახელმწიფოებრივი ერი არ არის, იგი კულტურის ერიაო.**

**ეს რომ წავიკითხე, ფრიად მესიამოვნა იმის გაგება დიდი ევროპელისაგან, რომ ჩვენ, ქართველები კულტურის ერი ვყოფილვართ. გულახდილად გეტყვით, რომ მეც ასე ვფიქრობდი: „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი ხალხი, კულტურის ერი ვართ, აბა, რა! იმან კი ძალიან შემაშფოთა, არასახელმწიფოებრივ ერად რომ ჩაგვთვალეს. სამიათასწლიანი სახელმწიფოს მქონე ერი არასახელმწიფოებრივად როგორ მიგვიჩნია-მეთქი, საქართველოს ისტორიის მცოდნე მგონია თავი, მაგრამ გადავწყვიტე ხელახლა, იმ გერმანელის პარადიგმის საფუძველზე გადამეხედა ჩვენი ისტორიული წარსულისათვის. გადავხედე და...**

**ცამდე მართალი ყოფილა ჰანს მაგნუს ენცენბერგერი!**

პოლიტიკური შეხედულებები, რაც დიდმა ილიამ კარგად გამოხატა ლექსში, ლექსში კი არა – ამოგმინვაში – „ბედნიერი ერი“ („მტრის **ვერმცნობი, მოყვრის მგმობი“)**, ეს ხალხურ ფოლკლორშიც აისახა, რაც უტყუარი დოკუმენტია ჩვენი ისტორიული და ახლანდელი სახელმწიფოებრიობის შესახებ.

ერთ მაგალითს დავასახელებ მხოლოდ: ჩვენ გვაქვს პოლიფონიურობის შესანიშნავი ნიმუში – სიმღერა „ჩაკრულო“. პოლიფონიური ხალხური სიმღერის უზადო ნიმუშთან ერთად, იგი ჩვენი არასახელწიფოებრიობის უტყუარი საბუთიც არის. ეს სიმღერა კოსმოსშიც გააგზავნეს, რათა უცხო ცივილიზაციის წარმომადგენლებსაც გაეგოთ ჩვენი არასახელმწიფოებრივი სიტუტუცე. აი, ამ სიმ-

რა არის, ნეტავი ამ ქართული მოვლენის ობიექტური მიზეზი? რომელიც საუკუნეების განმავლობაში არ იცვლება და ყოველ ჯერზე პირვანდელი სახით გაცხადდება ხოლმე: ნიჭი თუ უნიჭობა, გონიერება თუ უგუნურობა, ცოდნა თუ უვიცობა? არც ერთი! ამის მიზეზი მხოლოდ უსაფუძვლოდ მაღალი თვითშეფასებაა. ამაზე მეტყველებს ათადან-ბაბადან დამკვიდრებული გაკვირვება-მოთხოვნა: „უჩემოდ ვინ იმღერეთა“?

იმის დამამტკიცებელი მაგალითების ძებნა (ანდა, ძებნა რად უნდა!) წარსულში არ არის არც საჭირო და არც აუცილებელი. ჩვენ რომ არასახელმწიფოებრივი ერი ვართ დღემდე, ამის ნათელი მაგალითია ჩვენი ახლანდელი „დამოუკიდებლობა“...

# ღია წერილი ჩვენი სახელმწიფოს მაღალჩინოსნებს

# სახელმწიფოებრივი ცნობიერების დეფიციტი

**საქართველოს სამიათასწლიანი ისტორიის განმავლობაში ქართულ სახელმწიფოს სრული დამოუკიდებლობა მხოლოდ 90-100 წლის მანძილზე ჰქონდა, ანუ მხოლოდ დროის ამ მონაკვეთში „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდა“. ეს იყო ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების მეფობის პერიოდებში, თუმცა არც ეს იყო ქართველი ერის სახელმწიფოებრიობის სრულყოფილი გამოვლინება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვითვალისწინებ ვახტანგ გორგასლის წარმომავლობასა და დავით აღმაშენებლის შვილიშვილისა და შვილთაშვილის ე.წ. „ოქროს ხანაში“ შიდასახელმწიფოებრივ პროცესებს, რამაც განაპირობა ხვარაზმის სამეფოდან მონღოლებს გამოქცეული ჯალალედინის მიერ საქართველოს სასტიკად დამარცხება და ისტორიული შეურაცხყოფა. ისტორიკოსებმა იციან ეს, ხოლო ვინც არ იცის, წაიკითხოს ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“.**

როგორ მოხდა, რომ ქრისტიანული სამყაროს აღმოსავლეთის ფორპოსტი, უძლიერესი ქართული სახელმწიფო, ხვარაზმიდან ლტოლვილმა ჯალალედინმა, თავისი ჯარის გადარჩენილი ნაწილით მიწასთან გაასწორა საქართველოს დედაქალაქი თბილისი. ამ ქვეყანაზე უმიზეზოდ არაფერი ხდება. ამ ტრაგიკულ მარცხსაც ექნებოდა სერიოზული მიზეზი, ალბათ.

ჩემი ვარაუდით, გიორგი მესამისა და თამარ მეფის ხანაში შიგნიდან უკვე კარგა გვარიანად იყო მორყეული აღმაშენებლის მიერ დაწყებული სახელმწიფოებრივი მშენებლობა-განმტკიცების პროცესი: გიორგი მესამის არასახელმწიფოებრივმა აზროვნებამ, ქვეყნის სასიცოცხლო ორგანიზმი უცხო ელემენტებით დაასნებოვნა და თამარის მეფობისას ქვეყნის სასიცოცხლო ბერკეტები გაქართველებული უცხოტომელების ხელში მოაქცია. მერე მონღოლები მოვიდნენ და კარგა ხანს დარჩნენ აქ.

ისიც უნდა ითქვას, რომ მონღოლთა ბატონობისას, ქართველები დიდი თავდადებითა და მამაცურად იბრძოდნენ დამპყრობელთა ლაშქარში. კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, „მხოლოდ სულელები იბრძვიან სხვის ომში მამაცურად“.

მონღოლთა ბატონობის შემდეგ საქართველო დაიშალა. მეფე გიორგი ბრწყინვალემ მცირე ხნით შეაკოწიწა „ერთიანი“ საქართველო, რასაც რაიმე ისტორიული შედეგი არ მოჰყოლია. დავით აღმაშენებლის ქვეყანა სამ ქართულ სახელმწიფოდ დაიშალა – ქართლად, კახეთად და იმერეთად, სამივე სამეფოს ბაგრატიონი მეფეები მართავდნენ, რასაც ხელი არ შეუშლია მათთვის ერთმანეთთან ომში. სამეფოების გარდა, სამთავროებიც წარმოიქმნა, რომლებიც ხან აღიარებდნენ ხოლმე ქართული სახელმწიფოს უპირატესობას, ხან – არა. როგორც ქართლის, კახეთისა და იმერეთის სახელმწიფოთა, ისე ცალკეულ სამთავროთა სუვერენიტეტს ირანი, ბიზანტია (შემდგომში თურქეთი!) განსაზღვრავდნენ. ქართულ სახელმწიფოთა და სამთავროთა შორის შინაომები ხშირი იყო; სამთავროთა და საერისთაოთა შორისაც. ამგვარ კონფლიქტებში გარეპატრონები თითქოს არ ერეოდნენ, მაგრამ, თუ მათ ფავორიტ რეგიონს ემუქრებოდა საფრთხე, მაშინ გარეპატრონები ფავორიტებს გაამარჯვებინებდნენ ხოლმე.

აი, ასეთი იყო სამეფო-სამთავროების დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი ჩვენში, რაშიც აშკარად ჩანს ჩვენი ერის არასახელმწიფოებრიობა.

ჩვენი ერის არაეროვნულობა და უკუღმართი





**1918 წელს მაშინდელი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა ისეთივე ირაციონალური იყო, როგორც 1990 წელს. ნოე ჟორდანიას მთავრობამ მაშინ (1918 წელს) სტრატეგიული მეგობრობა დასამარცხებლად განწირულ გერმანიასთან სცადა, 1990 წელს ჩვენმა ხელისუფლების მესვეურებმა, ასევე, დასაღუპად განწირულ ჯოხარ დუდაევთან დაამყარა სტრატეგიული კავშირურთიერთობა! სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიშანწყალი თუ სჩანს პირველი რესპუბლიკისა თუ მეორე(?!) რესპუბლიკის ან საშინაო, ან საგარეო პოლიტიკაში?**

ღერის ტექსტი: „ხიდისთავს შევკრათ პირობა, ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია, ჩავუხტეთ მუხრან ბატონსა, თავს დავანგრიოთ ბანია“.

მუხრან ბატონები სამეფო გვარისა და ოჯახის წარმომადგენლები – ბაგრატიონები იყვნენ. უამრავი მტრით გარშემორტყმულ ხალხს, სხვა საფიქრალი არ ჰქონდათ და თავიანთი პატრონისა და ომებში წინამძღოლის სასახლისა, თუ ციხის დაქცევა-განადგურებაზე ფიქრობდნენ? აბა, ასეთი ხალხი სახელმწიფოს შექმნიდა? მეტი არაა ჩვენი მტერი! ვერც შექმნეს! ვერც მაშინ, როცა რუსეთის იმპერიაში ანტირუსულმა, ბოლშევიკურმა რევოლუციამ გაიმარჯვა და რევოლუციის (ანუ სახელმწიფოებრივი გადატრიალების) შემდეგ არცერთი რუსი არ იყო საბჭოთა რუსეთის მთავრობაში, მხოლოდ ებრაელები და ერთი ქართველი, ისიც მეათეხარისხოვან თანამდებობაზე, სამაგიეროდ უკიდეგანო გენიოსი! ამ გადატრიალების შედეგად ქართველებს მეხივით დაეცათ თავზე დამოუკიდებლობა, რაც, ცხადია, ქართველებმა სახელმწიფოს შექმნისთვის ვერ გამოიყენეს.

ისტორია ერთი-ერთში მეორდება, მუდამ!

1990 წელს ისევე დაგვატყდა თავს დამოუკიდებლობა, როგორც 1918 წელს.

1918 წელს მაშინდელი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა ისეთივე ირაციონალური იყო, როგორც 1990 წელს. ნოე ჟორდანიას მთავრობამ მაშინ (1918 წელს) სტრატეგიული მეგობრობა დასამარცხებლად განწირულ გერმანიასთან სცადა, 1990 წელს ჩვენმა ხელისუფლების მესვეურებმა, ასევე, დასაღუპად განწირულ ჯოხარ დუდაევთან დაამყარა სტრატეგიული კავშირურთიერთობა!

სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიშანწყალი თუ სჩანს პირველი რესპუბლიკისა თუ მეორე(?!) რესპუბლიკის ან საშინაო, ან საგარეო პოლიტიკაში?

სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი – ჯარი თუ შექმნეს ნეტავი, ან მაშინ (1918 წელს), ან ახლა (1990-იან წლებში), მტერი არაა მეტი! რატომ, ვითომ? ქართველები ხომ მეომარი და მამაცი ხალხია! კი, ასეა, მაგრამ ქართველი ქართველს ვერ დაემორჩილება. ეს ყველაფერში ჩანს! ამას გარდა, ქართველებს ჯარისკაცობის საფეხურის გამოტოვებით უნდათ, გახდნენ გენერლები, ან, უარეს შემთხვევაში, პოლკოვნიკები! ამიტომ იყო, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჯარში, ერთ ჯარისკაცზე სამი პოლკოვნიკი და ორი გენერალი მოდიოდა. მე შეიძლება ცოტას ვაჭარბებ, მაგრამ გენერალ კვინიტაძის მემუარებში დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ასახული.

**1990 წელს, როგორც უკვე ვთქვი, თავს დაგვატყდა დამოუკიდებლობა და ჩვენ 98%-იანი მხარდაჭერით ავირჩიეთ საქართველოს პირველი პრეზიდენტი! მერე? მერე ისა, რომ ორი თვის თავზე მისი მეხოტბე თანამებრძოლები ოპოზიციაში ჩაუდგნენ პრეზიდენტს და პერმანენტული მიტინგები გაუმართეს პარლამენტის წინ და მთელ რუსთაველზე, კატეგორიული მოთხოვნით – „გადადექი!“ არც რაიმე პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნა, ან დიალოგი, პირდაპირ იარლიყი – „ჩაუშესკუ“! მალე ეს კატეგორიული მოთხოვნები შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა და პრეზიდენტობამდე საყოველთაოდ აღიარებული ეროვნული ლიდერი თბილისიდან გააძევეს და მალე მოკლეს კიდეც!**

**სახელმწიფოებრიობის რაიმე ნიშანი თუ ჩანს ხალხის ამ მოქმედებაში? არანაირი!**

ხელისუფლებაში მოვიდნენ გადამტრიალებლები და დაიწყო მხედრიონის, ანუ ერთ-ერთი გადამტრიალებლის პირადი ჯარის თარეში! რა ჯარი?! ეს იყო ყოველგვარი სახელმწიფო კანონის არმცნობი, იარაღის მოყვარული ბიჭების შემთხვევითი გაერთიანება, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ემორჩილებოდა თავის ფორმალურ ლიდერს, ე.წ. ავტორიტეტს.

გადამტრიალებლები მალე მიხვდნენ, რომ ქვეყანა უღელში ხარებშებმული ურემი არ არის და მას მარტო მუშტითა თუ ავტომატით ვერ მართავ. იფიქრეს და გადაწყვიტეს, რომ ქვეყნის მმართველად მოეწვიათ საბჭოთა საქართველოს ყოფილი უფროსი და შემდეგ კი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ანუ ამ დიდ ქვეყანაში ხელისუფლების მეორე პირი. ჩამოიყვანეს კიდეც! მას ხომ არასოდეს უფიქრია დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოზე, ის ხომ ზეეროვნული ქვეყნის ერთერთი წარმატებული ორგანიზატორი იყო? მაშ, რატომ ჩამოიყვანეს იგი არჩეული პრეზიდენტის დამამხობლებმა? ეროვნული სახელმწიფოებრიობის შეგნების ნიშანწყალი არც მათ ეტყობოდათ.

**ახალი „ხელმწიფე“ ახალი ევროპის არქიტექტორობას იჩემებდა და ხშირად შეგვახსენებდა ხოლმე, რომ ბეიკერი და ბუში (აშშ-ს სახელმწიფო მდივანი და პრეზიდენტი), აგრეთვე გენშერი (გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი) ჩე-**



პაატა ბურჭულაძე „ქუჩის ბერი“ გამხდარა. კი არავის უკურთხებია, ისე, თვითმარქვია ბერი გამხდარა, როგორც სალომეა თვითმარქვია პრეზიდენტი. ამ „ქუჩის ბერმა“ იფიქრა, ალბათ, აქ დღითიდღე მცირდება ხალხის რაოდენობა და მოდი, დავაფიცებ რაღაცაზეო და... რაზე დააფიცებო, უკითხავთ, შენ ხომ თვითგამოცხადებული ბერი ხარო. დედას დავაფიცებო, — მიუგნია გამოსავალი.

**მი მეგობრები არიანო. ამას ისე ამბობდა, როგორც ახლანდელი ქვეყნის მეთაურები აშშ-ს საქართველოს სტრატეგიულ მეგობრად თვლიან.**

**ისინი, ან ესენი განა ტყუოდნენ, ან, ტყუიან, მათ მართლა ასე ჰგონიათ: ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის განცდა არ აქვთ და იმიტომ! ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნება რომ ჰქონოდათ, არც ერთი იტყოდა გენშერი, ბეიკერი და ბუში ჩემი მეგობრები არიანო და არც მეორენი ჩათვლიდნენ აშშ-ს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად!**

სახელმწიფოებრივი ცნობიერების არარსებობაზე (ან, დეფიციტზე!) მეტყველებს ის უდავო ფაქტებიც, როდესაც ქართველი არავითარ მაღალ თანამდებობაზე, შეთავაზების შემთხვევაში, უარს არ ამბობს! აგერ ახლახან არ იყო, როდესაც ავადცნობილმა თინა ხიდაშელმა ამაყად მიიღო თავდაცვის მინისტრის პოსტი, მაშინ, ერთობ ავტორიტეტულ გაზეთში, გამოვაქვეყნე პასკვილი „თინა ამირსპასალარი“, რადგან ამ „ამირსპასალარმა“ ისე იცის სამხედრო საქმე, როგორც ბებიაჩემმა ოლღა არევაძემ იცოდა ტაილანდური ენის გრამატიკა. ისე, ეს ყოველთვის ასე იყო ჩვენში. მაგალითად, მარაბდის ბრძოლაში ქართული ჯარის სარდლობა მეფე თეიმურაზ მეორემ იკისრა, მაშინ, როდესაც იქ გიორგი სააკაძე იყო. არც მისი რჩევები გაითვალისწინა ომის უცოდინარმა მეფე-„პოეტმა“. მეფეს რომ არ ექნება სახელმწიფოებრივი ცნობიერება, სხვებს რაღა მოეკითხება? განა არ იცოდა თეიმურაზმა, რომ მის გვერდით „ომის ღმერთი“ — გიორგი სააკაძე იდგა, მაგრამ... ამიტომაც დავმარცხდით მარაბდის ბრძოლაში სასტიკად!

ქართველების „პროფესიულ კომპეტენტურობაზე“ ერთი ქართული ანეკდოტი ღაღადებს: სამსახურის მაძიებელ ჩვენს თანამემამულეს ეკითხება საკონკურსო კომისიის წევრი: პიანინოს დაკვრა თუ იცით, ბატონო? მეცოდინება, ალბათო, — პასუხობს კონკურსანტი!

ასე იყო და ასეა დღემდე! არასახელმწიფოებრიობის ნიშანია ესეც!

**არასახელმწიფოებრიობის ქრესტომათიული მაგალითი ის პერმამენტული საპროტესტო აქციებია — ის უაზრო დგომაა რუსთაველის გამზირზე და სხვაგანაც, რაც ყოველ დღე-ღამე მიმდინარეობს პარლამენტის წინ (და სხვაგანაც!) 2024 წლის ოქტომბრიდან დღემდე და კაცმა არ იცის როდის დამთავრდება იგი. დედაქალაქის მთავარი გამზირიც მეტწილად გადაკეტილია. ხშირად შეკრებილი ხალხი რომ არ ყოფნის გამზირის გადაკეტვას, ათი ქალი ერთმანეთს ჩაჰკიდებს ხელს და გარდიგარდმო გადაღობავენ გამზირს. გიჟი უნდა იყოს ვინმე მძღოლი, მანქანა რომ დააჯახოს და გაწყვიტოს ეს უმწეო „ჯაჭვი“, პოლიცია კი ვერ ბედავს ამ ათიოდე ბომბიოს გადათრევას ტროტუარზე იმის შიშით, რომ მშვიდობიანი აქციის დარბევად ჩაუთვლიან ამგვარ მოქმედებას უცხოეთის საელჩოები, თუ ქვეყანაში შემთხვევით, თვითნებურად შემოთრეული უცხოელი „პოლიტიკოსები“.**

**ეს თუ დემოკრატიაა, ამნაირი დემოკრატიის დედაც!..**



...პარლამენტის წინ შეკრებილ ახალგაზრდებს მიტინგის წამყვანმა რატი ამაღლობელმა ასეთი რიტორიკული კითხვით მიმართა: სად არის თქვენი სამშობლო, თქვენი მშობლიური სახლი? ევროპაშიო, — იზღავლეს რუსთაველზე შეკრებილებმა.

ვინ დგანან ამ სადღეღამისო სადგომზე? „ოპოზიციონერი“ ვაი-უი „პოლიტმუშაკები“, სტუდენტები, რომლებსაც არც არაფერი უსწავლიათ და არც არაფერს ახლა სწავლობენ, სკოლის უმცროსი და უფროსკლასელები, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ ისინი უსამშობლო სუბიექტები არიან, რაც საძოვარზე მიშვებულ ნახირს ჰგავს. ამას მე კი არ ვამბობ, თვითონ ამბობენ: **ერთხელ პარლამენტის წინ შეკრებილ ახალგაზრდებს მიტინგის წამყვანმა რატი ამაღლობელმა ასეთი რიტორიკული კითხვით მიმართა: სად არის თქვენი სამშობლო, თქვენი მშობლიური სახლი? ევროპაშიო, — იზღავლეს რუსთაველზე შეკრებილებმა.**

ვინმემ (ალბათ, უცხომ) შეიძლება იფიქროს, რომ მაშინ იქ ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოქცეულები იდგნენო. არა, ბატონო, ისინი გიჟები არ არიან, იმათ მართლა ჰგონიათ, რომ ევროპელები არიან და გარემოების გამო არიან აქ ჩარჩენილები. სრული უვიცები რომ არიან, არც ეს არის მათი ბრალი, ამაზე ბევრი მაქვს ნალაპარაკები და აღარ გავიმეორებ. ამათ, იმ მიტინგის წამყვანთან ერთად, სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის ნასახიც არ ემჩნევათ.

**ახლანდელ ხელისუფლებას ხშირად ვაქებ იმ პოზიციების გამო, რასაც ისინი გამოხატავენ და როგორც იქცევიან, რადგან წინა წლებთან შედარებით მათ დიდი ნაბიჯი გადადგეს ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის შეგნების დამკვიდრების გზაზე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ნაბიჯია. სწორედ იმიტომ, რომ მათი მხარდამჭერი ვარ, შენიშვნები უნდა გამოვთქვა იმ იმედით, რომ იქნებ ჩვენც გავხდეთ სახელმწიფოებრივი ერი, კულტურის ერთან ერთად!**

სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია სამართლებრივი წესრიგი, მისი დაცვა ყოველგვარ ვითარებაში. როგორც ძველი რომაელები ამბობდნენ:

**„თუნდაც ქვეყანა დაიქცეს, კანონი უნდა აღსრულდეს“! როცა ეს დაივიწყეს რომაელებმა, რომიც სამუდამოდ დაიქცა!**

**ჰო, და, რამდენიმე თვის განმავლობაში აშკარად სახელმწიფოს მტრების დაფინანსებითა თუ მოტყუებით, დღე და ღამე იმართება უსანქციო მიტინგი-დემონსტრაციები, რაშიც უცხო ქვეყნების ელჩები თუ მაღალი რანგის პოლიტიკოსებიც მონაწილეობენ; იქ, სადაც პოლიციას აშარი და უზნეო დედაკაცების ეშინია, იქ სახელმწიფოებრიობა მხოლოდ ემბრიონის სახით არსებობს.**

იქ, სადაც რომელიღაც თეატრის რეჟისორი, თანაც სახელმწიფო თეატრისა, სახელმწიფოს ემუქრება, თუ ამა და ამ პატიმარს არ გაათავისუფლებთ დღესვე, მთელ დასს გამოვიყვან გარეთ და რაც მოგივათ, თქვენს თავს დააბრალეთო; ამ კაცს, ან უნდა უმკურნალოთ, ან, კოლექტიურად უნდა ვიცინოთ, იმ რეჟისორის გარეშე, რა თქმა უნდა. ეს მაშინ, თუ სახელმწიფოებრივი ცნობიერება „ოდნავ მაინც ელვარებს“ ჩვენში.

ერთ სასაცილო ამბავსაც გავიხსენებ და მერე დასკვნას გავაკეთებ (დიდ ისტორიულ მოვლენებს დიდად სასაცილო ამბები ახლავს ხოლმე).

ამ უვადო (და უაზრო) მიტინგობიაში „ქუჩის ბერიც“ გამოჩნდა რუსთაველზე. ეს „ბერი“ ადრე მსოფლიო ბანის პრეტენზიის მქონე ყოფილა და ახლა, რახან მსოფლიო მასშტაბით ვეღარ ბანობს, ადგილობრივ ფანოღებს თუ მობანს რაღაცას, თორემ არის ისე უსაქმოდ და ბერობა განუზრახავს. რახან რომელიმე ხევისბერი ვერ გამხდარა, რუსთაველზე სადღეღამისო მიტინგის ბერობა უკისრია, ანუ „ქუჩის ბერი“ გამხდარა. კი არავის უკურთხებია, ისე, თვითმარქვია ბერი გამხდარა, როგორც სალომეა თვითმარქვია პრეზიდენტი. ამ „ქუჩის ბერმა“ იფიქრა, ალბათ, აქ დღითიდღე მცირდება ხალხის რაოდენობა და მოდი, დავაფიცებ რაღაცაზეო და... რაზე დააფიცებო, უკითხავთ, შენ ხომ თვითგამოცხადებული ბერი ხარო. დედას დავაფიცებო, — მიუგნია გამოსავალი.

მე იმ დაფიცების ცერემონიას ვუცქირე, უარესს რას ნახავდა კაცი. როგორ შემეცოდა ეს „ქუჩის ბერი“, ვერ წარმოიდგენთ. მისულიყო სადმე ბიბლიოთეკაში და „ხევისბერი გოჩა“ მაინც წაეკითხა და დამწყალობლობის ტექსტი მაინც ესწავლა...

ეეჰ! ყველა საქმეს ცოდნა უნდა!

ლირიკა გვერდზე გადავდოთ!

დღეს ყველას რომ პირზე აკერია დიდი ილიას ანდერძივით შეგონება: „სამი საუნჯე დაგვრჩა წინაპართაგან — მამული, ენა, სარწმუნოება“, — რატომ არ ვიცავთ მას, სახელმწიფოებრივი ერი თუ ვართ? რატომ მიმდინარეობს უმოწყალო ძალადობა ჩვენს მშობლიურ ქართულ ენაზე? უამრავი მაგალითიდან მხოლოდ ერთს შეგახსენებთ: ტელეეკრანიდან თუ სამთავრობო ტრიბუნებიდან, პარლამენტიდან, თუ საქმიანი შეხვედრებიდან გახშირდა წელთაღრიცხვის სრულიად გამაოგნებელი ნოვაცია: 2024 წლის ასეთი წაკითხვა: **„ოცი ოცდაოთხი წელი“**. რა იდიოტიზმია ეს, რომელიც ვიღაც-ვიღაცეების ბაგიდან კი არა, მინისტრების, პარლამენტარების, პოლიტიკოსების ბაგეთაგან ისმის და არავინ ხმას არ იღებს, რადგან ეს სრული უვიცობა პროგრესული მოვლენა ჰგონიათ, ალბათ! სად არის აქ სახელმწიფოებრიობის შეგნების ნიშანწყალი?

მე ახლანდელი ხელისუფლების ბოლოდროინდელი რიტორიკა იმის იმედს მაძლევს, რომ ერთი საკაცობრიო (მრავალათასწლიანი!) გამოცდილება გავუზიარო, უფრო კი — შევთავაზო:

**ახლა თქვენ (და ჩვენ!) გაქვთ შანსი იმისა, რომ ჩვენი ერი სახელმწიფოებრივ ერად ვიქცეთ. აი, როგორ: (მე ამ პროცესის ტექნოლოგიაზე არ ვილაპარაკებ, ეს ცალკე საუბრის საგანია. აქ მხოლოდ მარტივ ფორმულას შემოგთავაზებთ) ახლანდელი ხელისუფლების „ოპოზიცია“, ანუ უცხოეთის აგენტურა, გაცხადებული უსამშობლოები არ წარმოადგენენ იმ ძალას, არც პოლიტიკური მიზნებით, არც მრწამსით, არც ღირებულებებით, არ წარმოადგენენ იმ ერთობას, რომელთანაც შეიძლება შეთანხმება, რაიმე სახით მოლაპარაკება და კონსენსუსი. ამიტომ ჩვენ, ქართველები სამუდამოდ უნდა გავეთიშოთ მათ: უსამშობლოებთან პატრიოტების რაიმე სახის კოჰაბიტაცია აბსოლუტურად შეუძლებელია. აი, მათთან დაპირისპირებაში გამარჯვებულ პატრიოტულ ძალას ექნება შანსი სახელმწიფოებრივი მრწამსის, შეგნების, ცნობიერების (მენტალიტეტის) მატარებელი გახდეს!**



**ეს ასე იქნება, როცა იქნება: ახლა, თუ ასი წლის შემდეგ!**

**ზურაბ ცუცქირიძე,**
განათლების მეცნიერებათა (პედაგოგიკის) დოქტორი, ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.
ტელ. 555 56 75 37




**უსამშობლოებთან პატრიოტების რაიმე სახის კოჰაბიტაცია აბსოლუტურად შეუძლებელია. აი, მათთან დაპირისპირებაში გამარჯვებულ პატრიოტულ ძალას ექნება შანსი სახელმწიფოებრივი მრწამსის, შეგნების, ცნობიერების (მენტალიტეტის) მატარებელი გახდეს!**



1983 წლის 18 ნოემბერს საბჭოთა კავშირიდან თავის დაღწევის მიზნით 7 ქართველის მონაწილეობით გაიტაცეს თვითმფრინავი ТУ-134. სამგზავრო თვითმფრინავი თბილისიდან ბათუმში უნდა გაფრენილიყო. თვითმფრინავში 57 მგზავრი იმყოფებოდა, ხოლო ეკიპაჟი 7 კაცისგან შედგებოდა.

შვიდკაციანმა ჯგუფმა მოახერხა თვითმფრინავში იარაღის შეტანა. ისინი ბათუმში დაშვებამდე თვითმფრინავის უახლოეს კაპიტალისტურ ქვეყანაში გატაცებას გეგმავდნენ. მაგრამ გამტაცებელთა გეგმები მკვეთრად შეიცვალა, როდესაც აღმოაჩინეს, რომ თვითმფრინავი ისევ თბილისის აეროპორტში დაეშვა. ამ ტერორისტული აქტის შედეგად სულ 7 ადამიანი დაიღუპა – ორი პილოტი და ერთი ბორტგამცილებელი, ორი მგზავრი და ორი გამტაცებელი.

1984 წლის 3 ოქტომბერს, ოთხშაბათს, 17:05 საათზე განაჩენი კახა ივერიელის, პაატა ივერიელის, გეგა კობახიძისა და მამა თეოდორეს მიმართ, შესრულდა! მათი შეწყალება არ მოხერხდა. ისინი დახვრიტეს. რაც შეხება თინა ფეტვიაშვილს, ის შეიწყალეს. ამ საზარელ დანაშაულთან მიმართებით საზოგადოებრივი აზრი დღესაც ორად არის გაყოფილი. ნაწილი თვლის, რომ ისინი ტერორისტები იყვნენ, ნაწილი კი ფიქრობს, რომ გმირები იყვნენ, რადგან გაურბოდნენ საბჭოთა წყობას.

და, იყვნენ თუ არა ტერორისტები? – თვითმფრინავის გატაცება რა თქმა, უნდა ტერორისტული აქტია, როდესაც შენი თავისუფლებისთვის უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლეს სწირავ, ესეც დანაშაულია. გაიტაცეს თვითმფრინავი, მოკლეს ბოთლის ჩარტყმით მგზავრი, მოკლეს მფრინავი ანზორ ჭედია, მოკლეს ბორტგამცილებელი ვალენტინა კურტიკოვა, თბილისში დაჯდომის მერე არ დანებდნენ, რასაც იერიში და კიდევ მსხვერპლი მოჰყვა. დაიჭრა და მოგვიანებით გარდაიცვალა ინსპექტორი გუგა შარბათიანი. ასევე გარდაიცვალნენ მგზავრები სოლომონია, აბოიანი, ჩვიდმეტმა მგზავრმა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. თავდამსხმელთა ჯგუფის წევრმა დავით მიქაბერიძემ თავი მოიკლა. ცხადია, სიკვდილით დასჯა არასდროს არ არის გამართლებული და მეტიც – საშინელებაა, მაგრამ მაშინ სასამართლომ მიიღო ის გადაწყვეტილება, რასაც მაშინდელი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა.

**for.ge** მფრინავი ანზორ ჭედიას ქალიშვილს თეონა ჭედიას ესაუბრა.



# „თვითმფრინავის ბიჭები“ – სიმართლე მითების წინააღმდეგ...

## თეონა ჭედია: ცრუ გმირების ჰეროიზაცია საშიშია საზოგადოებისთვის!

**– თეონა, რას ნიშნავს თქვენს მეხსიერებაში „თვითმფრინავის ბიჭები“? რა მოხდა 1983 წლის 18 ნოემბერს? რა იყო მათი მიზანი?**

**თეონა ჭედია:** მე ყოველთვის ვცდილობ ვისაუბრო ფაქტებით, რომელიც გამყარებულია მტკიცებულებებით, ვინაიდან ვცდილობ, შემდგომი ინტერპრეტაციისთვის სიცრცე მაქსიმალურად შევამცირო. ფაქტი, რეალობის სწორ შეფასებაში გვეხმარება. შეიარაღებული ჯგუფი, შემადგენლობით: მსახიობი გეგა კობახიძე, სტუდენტი დავით მიქაბერიძე, მხატვარი სოსო წერეთელი, ექიმი კახა ივერიელი, ექიმი პაატა ივერიელი, მხატვარი გია ტაბიძე და სტუდენტი თინა ფეტვიაშვილი, თავს დაესხა სამოქალაქო ავიაციის საქართველო სამმართველოს „ტუ 143ა“ თვითმფრინავს, მისი ხელში ჩაგდებისა და საზღვარგარეთ გატაცების მიზნით, რომელიც 57 მგზავრთან ერთად მიფრინავდა მარშრუტით: თბილისი-ბათუმი-კიევი-ლენინგრადი.



**– როგორც ვიცი, თქვენ გაეცანით ამ საქმეს, რომელიც რამდენიმე ტომისგან შედგება, რას ამბობდნენ გამტაცებლები, როგორ შეიტანეს თვითმფრინავში იარაღი და რა ხდებობა იქ? არსებობს ეს ცნობები, რომ იყვნენ მედიკამენტის ზემოქმედების ქვეშ და ამავე დროს იყვნენ ძალიან აგრესიულები, განსაკუთრებით თინა ფეტვიაშვილი...**

– 1983 წლის 18 ნოემბრის 15 საათსა და 43 წუთზე თვითმფრინავმა კურსი აიღო ბათუმისკენ. 17 ნოემბერს, თვითმფრინავის გატაცებამდე 1 დღით ადრე, გეგა კობახიძემ და თინა ფეტვიაშვილმა იქორწინეს. წვეულებას ესწრებოდა თბილისის აეროპორტის საერთაშორისო სექტორის თანამშრომელი ანა ვარსიმაშვილი, რომელიც, სწორედ, მეორე დღეს მორიგეობდა. 18 ნოემბერს ანა ვარსიმაშვილის ხელშეწყობით საქორწინო მოგზაურობაში მიმავალმა ახალდაქორწინებულებმა მეგობრებთან – დავით მიქაბერიძესთან, სოსო წერეთელთან, ეკა შალუტაშვილთან და ანანო მელივასთან ერთად „ინტურისტის“ სამსახურებრივი გასასვლელი სპეცკონტროლის გარეშე გაიარეს.

ასე აღმოჩნდა თვითმფრინავის სალონში „TT“ ტიპის 2 პისტოლეტი, „ნაგანისა“ და „რევსტერის“ ტიპის 2 რევოლვერი და 2 სასწავლო ტიპის ხელყუმბარა. 16 საათსა და 13 წუთზე კახა ივერიელი თავისი ადგილიდან ადგა და სოსო წერეთელთან ერთად გაემართა პილოტთა კაბინისკენ, მისცა ამით დანარჩენ წევრებს ეკიპაჟზე თავდასხმის ნიშანი. პაატა ივერიელმა სალონის მეორე რიგში მჯდომი მგზავრი, სოლომონია, შეცდომით მიიჩნია საჰაერო ხომალდის გამცილებელ მილიციის თანამშრომლად, რის გამოც ძლიერად ჩაარტყა შამპანურის ბოთლი თავში, ხოლო გია ტაბიძემ „ნაგანის“ სისტემის რევოლვერიდან ესროლა სოლომონიას და ადგილზე მოკლა იგი. კახა ივერიელი და სოსო წერეთელი შევიდნენ ბორტგამცილებელთა სალონში, საიდანაც ცდილობდნენ პილოტების კაბინაში შეღწევას.

კახა ივერიელი მოითხოვდა ბორტგამცილებელი ვალენტინა კურტიკოვასგან სატელეფონო კავშირით გადაეცა პილოტებისთვის მოთხოვნა გაფრენილიყვნენ თურქეთში. ამასობაში სალონიდან კურტიკოვასთან გია ტაბიძეც შეიჭრა და სიკვდილის მუქარით უბრძანა მას, ბორტგამცილებლებისათვის დაწესებული ნიშნით დაეკაკუნებინა პილოტების კაბინის კარზე, რაც ამ უკანასკნელმა შეასრულა; კაბინის კარი გააღო საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მფრინავ-შტურმანთა რაზმის ინსპექტორმა შარბათიანმა.

**– ვინ ესროლა თქვენს მამას და როგორ ვითარებაში გარდაიცვალა ის?**

– კახა ივერიელმა რევოლ-

**თვითმფრინავის გატაცებას ისინი 2 წლის განმავლობაში გეგმავდნენ, განიხილავდნენ გემით გადასვლასაც, თუმცა საბოლოოდ თვითმფრინავით წასვლა არჩიეს, სავარაუდოდ, გამტაცებლების ნაწილი საზღვარგარეთ ნამყოფიც იყო, მაგრამ, როგორც სასამართლოზე თავად აღიარეს, დასავლეთში ხმაურით შესვლა იქ დასამკვიდრებლად, მათ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევდა.**

საქართველოს რესპუბლიკა

**საერთოდ, თვითმფრინავის გატაცება ნებისმიერი ქვეყნის სამართლით ტერორისტულ აქტად ითვლება. ნებისმიერი ადამიანის თავისუფლება სწორედ იქ სრულდება, სადაც მეორე ადამიანის თავისუფლება იწყება, აქ მგონი სადავოც არაფერია.**





ვერი „რევსტერი“ თავზე მიაბჯინა პილოტ-ინსტრუქტორ ახმათგერ გარდაფხაძეს და უბრძანა მას, შეეცვალა კურსი – გაფრენილიყო თურქეთში. ამ დროს ტაბიძემ ესროლა ბორტმექანიკოსს, მამაჩემს ანზორ ჭედიას და ის სასიკვდილოდ დაჭრა. პილოტთა კაბინაში მყოფმა ეკიპაჟის შტურმანმა ვლადიმერ გასოიანმა თავისი ტაბელური იარაღიდან გახსნა ცეცხლი, რის შედეგად გია ტაბიძე ადგილზე იქნა მოკლული, ხოლო სოსო წერეთელი და კახა ივერიელი დაიჭრნენ, ამ დროს პილოტებს მიეცათ კაბინის ბლოკირების საშუალება. სროლის შედეგად ეკიპაჟის წევრთაგან დაიღუპა ბორტმექანიკოსი ანზორ ჭედია, ბორტგამყოლი ვალენტინა კურტიკოვა, დაიჭრა და მოგვიანებით გარდაიცვალა ინსპექტორი გუგა შარბათიანი.

18 ნოემბერს 16 საათსა და 40 წუთზე, აფრენიდან 57 წუთის შემდეგ, თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაბრუნდა. დარწმუნებულმა, რომ თვითმფრინავის გატაცების გეგმა ჩაიშალა, დავით მიქაბერიძემ თავი მოიკლა. ყელში დაჭრილი სოსო წერეთელი სისხლისგან დაიცალა და გარდაიცვალა. თავდამსხმელებმა გამოიჩინეს განსაკუთრებული სისასტიკე, არ გაათავისუფლეს ბავშვები, აგრეთვე მძიმედ დაჭრილი ადამიანებიც კი, რომელთა გადარჩენა, ალბათ, ჯერ კიდევ შეიძლებოდა. 19 ნოემბერს დილით 06:55 წუთზე რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოფრინდა სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სპეცდანაყოფი „ალფა“, რომელსაც გენერალ-მაიორი გენადი ზაიცევი ხელმძღვანელობდა. იერიშის დაწყებამდე, გამტაცებლებთან მრავალსაათიანი მოლაპარაკება წარმოებდა. გამტაცებლები მოითხოვდნენ თვითმფრინავის ავზის შევსებას და თურქეთში გადაფრენას, სხვა შემთხვევაში თვითმფრინავს ააფეთქებდნენ.

**– დღეს, თუ ეკითხებით თქვენს თავს, როგორ მომზადდა ტერორისტული აქტი ისე, რომ საბჭოთა უშიშროებამ ამის შესახებ ვერ გაიგო?**

– რაც შეეხება უშიშროებას, როგორც მოგვიანებით გაირკვა, გარკვეული ინფორმაცია არსებობდა, რომ დავით მიქაბერიძე მეგობრებთან ერთად ურთიერთობდა ბალტიისპირელი ორგანიზაციის წევრებთან, რომლებიც თურმე ანტისაბჭოთა პროპაგანდით გამოირჩეოდნენ, თუმცა ამ ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ, ის საყურადღებო ფაქტად არ მიიჩნიეს და დამატებითი ღონისძიება არ დაგეგმილა. სამწუხაროდ, უშიშროების თანამშრომლების ნაწილმა, ამის შესახებ 1983 წლის 18 ნოემბრის ღამეს გაიხსენეს, როდესაც გამტაცებლებში დავით მიქაბერიძის გვარი დასახელდა.

მნიშვნელოვანია, რომ 2000-ანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენსტს ICAO-ს დელეგაცია სტუმრობდა, ეს ინციდენტი თავიდან გაიხსენეს და ის შეფასდა, როგორც საბჭოთა საქართველოს უშიშროების სამსახურის მხრიდან, საკუთარი მისიის მიმართ არაპროფესიონალური დამოკიდებულებით გამორჩეული.

ამ შეფასებას ემატებოდა დეპუტატების გასასვლელიდან იარაღის თავისუფლად შეტანა ბორტზე, რაც, როგორც ზევით მოგახსენეთ, პირადი ნაცნობობით მოგვარდა. ეს ფაქტი გასაკვირი არც უნდა იყოს, ვინაიდან საბჭოთა საქართველოსთვის პროტექციონიზმი, ნეპოტიზმი სრულიად ორგანული მოვლენა იყო. რაც შეეხება იარაღს, ის შავ ბაზარზე იყიდებოდა. ამ შემთხვევაში, თუ სწორად მახსოვს, საქმის ოქმებიდან გამომდინარე ჩანდა, რომ სწორედ შავ ბაზარზე იქნა შეძენილი იარაღი – ერთი ცალი 100/150 მანეთის ფარგლებში.



**– ამ ისტორიაში რა როლი აქვს სასულიერო პირს, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ დააკავეს და რომელიც ცდილობდა, საკუთარ თავზე აეღო დანაშაული, რომელსაც სხვათა შორის სასამართლოზე დასცინოდნენ დაკავებულები...**

– საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ ასევე გაასამართლა პირი, რომელიც 18 ნოემბერს არ იმყოფებოდა თბილისი-ბათუმი-კიევილენინგრადის რეისზე. თეიმურაზ ჩიხლაძეს (მამა თეოდორეს) ბრალი დასდეს ბანდის ხელმძღვანელობასა და დანაშაულის ორგანიზება-დაგეგმვაში. დაკითხვის ოქმების მიხედვით, მღვდელი თეოდორე აღიარებს, რომ არ მოსწონდა საბჭოთა წყობა და, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა საბჭოთა კავშირიდან გაქცევა, მათ შორის თვითმფრინავის გატაცების გზით. ის ასევე აღიარებდა გამტაცებლებთან კავშირს და გატაცების ორგანიზებაში მონაწილეობას.

მისი დაკავება კი გამტაცებლების ჩვენებების საფუძველზე განხორციელდა. ის სასამართლოზე ყველა დანაშაულს თავის თავზე იღებდა, რითიც სავარაუდოდ, მათთვის სასჯელის შემსუბუქებას ცდილობდა, მაგრამ საქმე სამშობლოს ღალატის და ჯგუფური დანაშაულის მუხლით იხილებოდა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ ის განაჩენი გამოიტანა, რაც იმდროინდელი სამართლით იყო განსაზღვრული.

**– დღემდე საზოგადოებრივი აზრი ორად არის გაყოფილი – ნაწილი ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირიდან თავის დაღწევის მიზნით მოხდა თვითმფრინავის გატაცება, თუმცა, ვიცით, რომ აბსოლუტურად ყველა გამტაცებელს შეეძლო ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მაშინ საზღვრის გადაკვეთა, მაგრამ მაინც აირჩიეს ძალადობრივი გზა, რა იყო რეალურად მიზეზი, როგორ ფიქრობთ?**

– თვითმფრინავის გატაცებას ისინი 2 წლის განმავლობაში გეგმავდნენ, განიხილავდნენ გემით გადასვლასაც, თუმცა საბოლოოდ თვითმფრინავით წასვლა არჩიეს, სავარაუდოდ გამტაცებლების ნაწილი საზღვარგარეთ ნამყოფიც იყო, მაგრამ, როგორც სასამართლოზე თავად აღიარეს, დასავლეთში ხმაურით შესვლა, იქ დასამკვიდრებლად, მათ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევდა.

**– თვითმფრინავის გატაცება, რა თქმა უნდა, ტერორისტული აქტია, მაგრამ მაინც ამ კონკრეტულ საკითხზე საზოგადოების აზრით თუ ვიმსჯელებთ, ისინი ტერორისტები არ იყვნენ. რატომ შეიქმნა მათგან თავიდანვე გმირობის ისტორიები, რა მიზანი ჰქონდა ამას?**

– საერთოდ, თვითმფრინავის გატაცება ნებისმიერი ქვეყნის სამართლით ტერორისტულ აქტად ითვლება. ნესმიერი ადამიანის თავისუფლება სწორედ იქ სრულდება, სადაც მეორე ადამიანის თავისუფლება იწყება, აქ მგონი სადავოც არაფერია. რაც შეეხება საზოგადოებრივი აზრის პოლარიზებას, ეს პროცესი 90-იანი წლების დასაწყისიდან იწყება, როცა დაინტერესებულმა პირებმა, ახალი ისტორიის დაწერა დაიწყეს. სწორედ მაშინ მოხდა ფაქტების მოშორება და ემოციებზე აგებული რომანტიული ზღაპრის გამოგონება. ფაქტების ნაცვლად – აღქმები. ამ ტრაგიკული ამბის ზედაპირულმა ტირაჟირებამ იმუშავა და საზოგადოებაში მცდარი წარმოდგენები გააჩინა. წლების განმავლობაში საზოგადოება სიცრუით იკვებებოდა, სადაც შეკითხვის დასმაც არ შეიძლებოდა. შედეგად, მივიღეთ ცრუ გმირები. ჩემი აზრით, საზოგადოება მაშინ არის შემდგარი, როდესაც მას უჩნდება კითხვები და ის მოვლენებს ერთ სიბრტყეში არ აღიქვამს.



შევარდნაძე „ალფას“ სპეცრაზმს ხვდება ოპერაციის დაწყების წინ

**– მაგალითად, დათო ტურაშვილის რომანი „ჯინსების თაობა“ – აგებულია იმაზე, რომ თვითმფრინავის გატაცებას არაერთი სიცოცხლით სავსე ქართველი შეეწირა. წიგნის ორი მთავარი გმირია გეგა კობახიძე და თინა ფეტვიაშვილია. 2001 წლის 19 მაისს ქართველმა რეჟისორმა დავით დოიაშვილმა თავისუფალ თეატრში დადგა სპექტაკლი „ჯინსების თაობა“. რეჟისორმა ზაზა რუსაძემ გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ბანდიტები“, სადაც გაშუქებულია თვითმფრინავის გატაცებასთან დაკავშირებული საკითხები. გამოვიდა რეჟისორ რეზო გიგინეიშვილის მხატვრული ფილმი „მძევლები“. ანუ, ხდებოდა გამტაცებლებისგან „გმირების“ შექმნა, თანაც ცალმხრივად ხდებოდა ეს ყველაფერი, დაზარალებულების ოჯახთან არ ჰქონიათ კონტაქტი, რაც რეალობისგან არის აცდენილი. ეს რისთვის დასჭირდათ?**

– დიახ, დაიწერა წიგნი, დაიდგა სპექტაკლი, გადაიღეს ფილმები, თბილისში ერთ-ერთ ქუჩას სოსო წერეთლის სახელიც დაარქვეს. თვითმფრინავის ბიჭებად წოდებულმა ამბავმა სრულად მოიცვა პოპკულტურა და ხდებოდა მისი მონეტიზაცია. ჩემს უკმაყოფილებას კი მუდმივად იწვევდა ფაქტების იგნორირება. რეჟისორს აქვს უფლება, ვისზეც უნდა, რაც უნდა, ის დადგას თუ გადაიღოს, მაგრამ როდესაც ამბობ, რომ შენი წიგნი ნამდვილი ამბავია, ვალდებული ხარ, ისტორია კარგად შეისწავლო, დაზარალებულებს მოუსმინო, რაც ამ შეთხვევაში არასოდეს მომხდარა. წლებია ამ საქმის ძირითად ნაწილს გრიფით „საიდუმლო“ მოხსნილი აქვს და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ.

**– ხომ არ დადგა დრო, რომ გაიხსნას ეს არქივი და საზოგადოებამ იცოდეს სიმართლე?**

– ვინაიდან არ ვარ განებივრებული ამ თემაზე საუბრით და ჩემთან დაკავშირებით ცენზურა აქტიურად მუშაობდა, არავის ვეუბნები უარს ინტერვიუზე და ეს ჩემი დამოკიდებულება არ არის განპირობებული მხოლოდ ჩემი პირადი ისტორიით. როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, ვთვლი, რომ ცრუ გმირების ჰეროიზაცია საშიში შედეგების მომტანია საზოგადოებისთვის. იწყება ფუნდამენტური ღირებულებების დამახინჯებული აღქმა. შეგიძლია თავისუფლების სახელით განხორციელებული ცივსისხლიანი ძალადობაც გაამართლო. მიზანი ამართლებს საშუალებას? არ დაგვავიწყდეს, რომ საშუალება ყოველთვის განსაზღვრავს შედეგს.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

**ცრუ გმირების ჰეროიზაცია საშიში შედეგების მომტანია საზოგადოებისთვის. იწყება ფუნდამენტური ღირებულებების დამახინჯებული აღქმა. შეგიძლია თავისუფლების სახელით განხორციელებული ცივსისხლიანი ძალადობაც გაამართლო. მიზანი ამართლებს საშუალებას? არ დაგვავიწყდეს, რომ საშუალება ყოველთვის განსაზღვრავს შედეგს.**



## შალვა პაპუაშვილი:

# დიახ, ეს ჩვენი სამამულო ომიც იყო!



**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა**

„ვიღებ ხელში კალამს, გაძლევ კეთილ სალამს, გწერთ თქვენი სიცოცხლის მონატრე..." – 1945 წლის 18 თებერვალს, ფრონტიდან ჩემი დიდი პაპის მოწერილი ეს წერილი ბოლო აღმოჩნდა.

9 მაისს საქართველოში ვზეიმობთ გამარჯვების დღეს, 1945 წელს ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნად.

საქართველოდან, ამ გამარჯვებამდე მიმავალ ბრძოლის გზაზე, 300 000 ადამიანი დაეცა, რითაც მოსახლეობის პროპორციულობის მიხედვით, ყველაზე დიდი დანაკარგი მივიღეთ. ეს ფასი ჩვენ და ჩვენმა წინაპრებმა მსოფლიოს უდიდესი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში გადავიხადეთ.

საქართველოში არ არსებობს ოჯახი, რომლის მამა, პაპა, დიდი პაპა არ მონაწილეობდა ფაშიზმის წინააღმდეგ ომში. დღემდე ცოცხლები არიან ომის მონაწილე ვეტერანები.

გასული 80 წლის განმავლობაში, 9 მაისის აღნიშვნა ჩვენს განუყოფელ ტრადიციად იქცა, რაც დღევანდელ გამრუდებულ ყოფაში ცოცხალი შეხსენებაა იმისა, თუ რანი ვიყავით გუშინ, სად ვიდექით, რისთვის ვიბრძოდით და რანი ვართ დღეს.

დღეს ჩვენ ვხედავთ ადამიანებს, რომლებმაც ცხოვრების მისიად გაიხადეს საქართველოს ისტორიის, ჩვენი წარსულის და გამარჯვების დღის დაკნინება.წარსულის გადააზრების საბაბით, მუდმივი აპელირება, თუ რომელია სწორი თარიღი, 9 თუ 8, როგორი უნდა იყოს გამარჯვების დღის დასახელება, შეიძლება თუ არა სტალინის ხსენება და ათასი მსგავსი განწვალება და უქმი მეტყველება მიმართულია მხოლოდ ერთისკენ – მოხდეს არა წარსულის გააზრება, არამედ წარსულის გადაწერა, საბჭოთა კავშირში ცხოვრების გამო დანაშაულის გრძნობის გაღვივება და ეროვნული იდენტობის იმგვარი მოშლა, რაც ნოყიერ ნიადაგს შექმნის, უცხო გავლენით, ფსევდოევროპული და ხელოვნურად კონსტრუირებული იდეოლოგიის დასამკვიდრებლად.

ადამიანები, რომლებიც პირდაპირ არიან პასუხისმგებლები მართლაც ანტიევროპული, ანტიდემოკრატიული, დანაშაულებრივი რეჟიმის შექმნაზე და ქვეყნის გაუბედურებაზე, ამ იდეოლოგიის მატარებელი სოცმედია აქტივისტებთან ერთად ცდილობენ 9 მაისის მნიშვნელობის შეცვლას.

9 მაისი არის და იქნება იმ დიდი გამარჯვების დღე, რომელშიც საქართველოს თავისი ღირსეული წვლილი მიუძღვის. ამ წვლილის, ამ მსხვერპლის და ამ გმირობის დავიწყება და ისტორიის გადაწერა არ მოხდება.

ქართველი ხალხი საკმარისად ძველი, მრავალჭირნანახი და ბრძენი ხალხი ვართ იმისთვის, რომ წარსულით ვინმეს ჩვენი შერცხვენა გაუვიდეს. ჩვენი ისტორია მთლიანია. ბედის ავბედითობით რაც გაგვივლია, ჩვენმა წინაპრებმა ღირსეულად გაიარეს. ჩვენ მათი შთამომავლები ვართ. ჩვენ ყველანი მხოლოდ საქართველოსთვის ვიბრძოდით და ასეც გავაგრძელებთ.







80 წლის წინ ნაციზმს ვებრძოდით ქერჩშიც და ბერლინშიც, მარუხის უღელტეხილზეც და კოდორის ხეობაშიც. ნაციზმს, რომლის იდეაც მთელი ერების განადგურება იყო. რომ არა ეს ბრძოლა, ჩვენი ერის ისტორიასაც ნაციზმის მუხლუხოები დაუნდობლად გასრესდა. სწორედ ამიტომ იყო ეს ომი ჩვენი სამამულო ომი.

80 წლის წინ ჩვენ გავიმარჯვეთ, მოკავშირეებმა გაიმარჯვეს და მათთან ერთად გაიმარჯვა საქართველომ.

გილოცავთ 9 მაისს, ჩვენი გამარჯვების დღეს!", – წერს პაპუაშვილი.

---

### გიორგი გაბუნია:

## რადიკალური ოპოზიციის ადგილი ხელისუფლებაში არ არის!



**რადიკალური ოპოზიცია რეალურად მიიღებს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას, ამას ქვეყნისთვის და მით უმეტეს, საქართველოს ხელისუფლებისთვის არანაირი არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია,** – განუცხადა „ქრონიკას" კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ **გიორგი გაბუნიამ.**

მისივე თქმით, **ეს ძალები არიან პირდაპირ დაფინანსებული გარედან და ელოდებიან გარე დავალებებს, ამის მიხედვით იმოქმედებენ. შესაბამისად, ამიტომ არის გაურკვეველი მათი პოზიციები და მათი პასუხები საზოგადოების წინაშე.**

**ერთი რამ შემიძლია გითხრათ დარწმუნებით, „ქართული ოცნება" ემზადება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის და ჩვენ დამაჯერებელ, მეათე გამარჯვებას მოვიპოვებთ 64-ვე მუნიციპალიტეტში. ნათლად უნდა აღინიშნოს, რომ „ნაციონალური მოძრაობა" როგორც საპარლამენტო ცხოვრებიდან გავიდა, ასევე უნდა გავიდეს ადგილობრივი თვითმმართველობის დონის მმართველობიდან. მათი ადგილი არ არის ხელისუფლების არცერთ შტოში",** – დასძინა **გიორგი გაბუნიამ.**

## მორიგი სკანდალი ევროპარლამენტში NGO-ებთან დაკავშირებით



**ევროპარლამენტი NGO-ებთან დაკავშირებული მორიგი სკანდალის გამოძიებას გეგმავს,** – ინფორმაციას ევროპული გამოცემა „ევროპული კონსერვატორი" ავრცელებს.

საუბარია ე.წ. ტიმერმანს გეითზე. ირკვევა, რომ ევროკომისიამ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, ფრანს ტიმერმანსის ხელმძღვანელობის დროს, 750 მილიონი დოლარი გადაუხადა არასამთავრობო ორგანიზაციებს მწვანე შეთანხმების ლობირების მიზნით. ამ საქმეზე სპეციალური საგამოძიებო კომიტეტის შექმნისთვის ევროპარლამენტს კენჭი 8 მაისს უნდა ეყარა, თუმცა კენჭისყრა ევროპის სახალხო პარტიის ინიციატივით მომდევნო თვეში გადაიდო.

ევროპარლამენტის უმსხვილეს პოლიტიკურ ჯგუფს სურს, NGO-ების სკანდალი საბიუჯეტო კონტროლის კომისიის ფარგლებში, სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნის მეშვეობით გამოიძიოს. პარალელურად, არასამთავრობო ორგანიზაციების ფარული დაფინანსებისა და მასთან ასოცირებული სკანდალების მოკვლევის მიზნით, ევროპის პატრიოტთა ჯგუფი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კომიტეტის შექმნას ითხოვს, რისთვისაც საკმარისი ხელმოწერები უკვე დააგროვა.

## თურქეთი რუსეთსა და უკრაინას შორის მოლაპარაკებებს უმასპინძლებს



**„პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ უკრაინასა და რუსეთს შორის ომის დასრულების გზაზე დადგა ისტორიულად გარდამტეხი მომენტი, რომ აუცილებელია ამ შესაძლებლობის გამოყენება და რომ თურქეთი მზადაა, წვლილი შეიტანოს ნებისმიერი ფორმით, მათ შორის მოლაპარაკებების ორგანიზებით, ცეცხლის შეწყვეტისა და გრძელვადიანი მშვიდობის უზრუნველსაყოფად",** – აღნიშნულია თურქეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ერდოღანმა ასევე განაცხადა, რომ „მნიშვნელოვანია თანამშრომლობა უკრაინასა და რუსეთს შორის მუდმივი სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებისა და უკრაინის აღდგენის პროცესების განხორციელებაში".

## ვლადიმერ პუტინი უკრაინას 15 მაისს სტამბოლში მოლაპარაკებების განახლებას სთავაზობს

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკრაინას მოლაპარაკებების განახლებას სთავაზობს.**

ვლადიმერ პუტინმა კრემლში ჟურნალისტებთან საუბრისას უკრაინას შესთავაზა პირდაპირი მოლაპარაკებების განახლება და დაასახელა კონკრეტული თარიღი – 15 მაისი და ადგილი – სტამბოლი.

**„ჩვენ არასდროს უარი არ გვითქვამს უკრაინულ მხარესთან დიალოგზე. შეგახსენებთ, რომ მოლაპარაკებები ჩვენ არ შეგვიწყვეტია 2022 წელს, ეს გააკეთა უკრაინულმა მხარემ. მიუხედავად ყველაფრისა, ვთავაზობთ კიევის ხელისუფლებას 2022 წლის ბოლოს მათ მიერვე შეწყვეტილი მოლაპარაკებების განახლებას, თანაც ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე",** – აღნიშნა პუტინმა.

ვლადიმერ პუტინის განცხადებით, ის ხვალ გეგმავს საუბარს თურქეთის პრეზიდენტთან რეჯეფ თაიფ ერდოღანთან და სთხოვს მას, უზრუნველყოს თურქეთში მოლაპარაკებების ჩატარების შესაძლებლობა. რუსეთის პრეზიდენტმა ასევე არ გამორიცხა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა მოლაპარაკებების დროს.

**„არ გამოვრიცხავთ, რომ ამ მოლაპარაკებების დროს შესაძლებელი იქნება ახალი ზავისა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა, ამასთან, რეალური ზავისა, რომელსაც დაიცავდა არა მხოლოდ რუსეთი, არამედ უკრაინული მხარეც. ეს იქნებოდა პირველი ნაბიჯი, ვიმეორებ, გრძელვადიანი, მდგრადი მშვიდობისკენ და არა პროლოგი შეიარაღებული კონფლიქტის გასაგრძელებლად უკრაინის შეიარაღებული ძალების ხელახალი შეიარაღებისა და დაკომპლექტების შემდეგ. ვის სჭირდება ასეთი მშვიდობა?"** – განაცხადა პუტინმა.

# აი, „ოპოზიცია“!!!

საქართველოს რესპუბლიკა

## „ფსიქიატრიულში ზოგი პრეზიდენტია, ზოგი – პროკურორი და ზოგიც – ნაპოლეონი“



# ბრინჯივით დაბნეულო ზურაბიშვილო, ე, მანდ ფეხი არსად დაგიცდეთ!!!

**სალომე ზურაბიშვილმა გადაწყვიტა, რომ თვითონ ჩაიბაროს 26 მაისის აღლუმი, ხოლო 9 მაისს მოსახლეობას მოუწოდა, რომ გამოდით ქუჩაში და ევროპა დაუპირისპირეთ რუსეთსო...**

– ამ პროვოკაციულ იდეას ექს-პრეზიდენტი იმით ხსნის, რომ **„სადაც არ უნდა გაიხედოთ, მაღაზიებში, რესტორნებში, ძირითადად, რუსები არიან, საქართველოს მოქალაქეებს უჭირთ და რუსები ხეიროზენო“** – აი, ასეთია „სტრატეგიულად მოაზროვნე“ მაკკეინის სტიპენდიატი ზურაბიშვილი, რომელიც ღიად, დაუფარავად აღვივებს სამოქალაქო დაპირისპირებას.

ზურაბიშვილმა შექმნა 26 მაისის საორგანიზაციო კომიტეტი, დარაზმა რადიკალური ოპოზიციაც და მოდიან დამოუკიდებლობის გადასარჩენად. რადიკალები აცხადებენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს აუცილებელია ქართველ ხალხთან ერთად დგომა. პარტია „ლელოს“ უპარტიო წევრი **ალეკო ელისაშვილი** ამბობს, რომ 26 მაისს იქნება დიდი მსვლელობა და ამით, მეგობარ ამერიკელებსაც დაენახვებიან, რომ ისევ იბრძვიან, ისევ დგანან.

**„ძალიან კარგი კომიტეტია, ჩართულები ვართ თავიდან ბოლომდე, ძირითადად, ბადრი ჯაფარიძე, ამ შეხვედრების, წინააღმდეგობის შტაბის მონაწილე, რომელიც კოალიციის სახელით არის წარმოდგენილი. ძალიან დიდი მსვლელობა-აქცია იქნება 26 მაისს. ჩვენს მეგობარ ამერიკელებსაც დავენახებით, რომ ისევ ვიბრძვით, ისევ ვდგავართ და ხელები არ ჩამოგვიყრია“**, – განაცხადა **ელისაშვილმა**.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი **პეტრე ცისკარიშვილი** ამბობს, რომ 26 მაისი არის სახალხო დღესასწაული, სადაც ყველა იღებს მონაწილეობას და შესაბამისად, დარწმუნებულია, რომ რუსთაველის გამზირზე იქნება აურაცხელი რაოდენობის ადამიანი.

**„თუ რეჟიმს გონია, რომ რახან ყოველ საღამოს ასობით ათასი ხალხი არ იკრიბება აქციაზე, ამიტომ მინელდა და აღარ არის საპროტესტო მუხტი საზოგადოებაში, ძალიან ცდებიან. რა თქმა უნდა, საპროტესტო მუხტი არის და 26 მაისს ეს გამოჩნდება“**, – აცხადებს **ცისკარიშვილი**.

ფაქტია, რომ რადიკალები ემზადებიან იმისათვის, რომ ქვეყანაში განმეორდეს სააკაშვილის რეჟიმის მიერ დატრიალებული 26 მაისი. ხელისუფლებაში ზუსტად იციან, რომ რადიკალების მცდელობა არის, რომ სახალხო ზეიმი, რაც უკავშირდება დამოუკიდებლობის დღეს, იყოს ჩაშლილი და 9 აპრილის მსგავსად, გადაიქცეს ვიწრო პარტიულ ყიჟინად. მცდელობა სახეზეა, მაგრამ ხელისუფლებამ მორიგი ყვითელი ბარათი ააფრიალა და რადიკალებს გაფრთხილება მისცა.

* * *

**პრემიერ-მინისტრის განცხადებით, უნდათ, რომ 26 მაისს საზოგადოება ორად გაიხლიჩოს.**

შესაბამისად, ირაკლი კობახიძე აფრთხილებს ყველას, ვინც დაკვეთით შეიძლება მოქმედებდეს, სალომე ზურაბიშვილის ჩათვლით, ფეხი არსად დაუცდეთ. კობახიძის თქმით, „დიფ სთეითის“დამოკიდებულებაა, რომ საზოგადოებას არაფერი აერთიანებდეს, მათ შორის, სადღესასწაულო თარიღებიც კი.

**„დიფ სთეითის“ დაკვეთაა, რომ გახლიჩონ საზოგადოება. თქვენ გახსოვთ, თარიღებთან დაკავშირებით როგორი დისკუსია გამართეს. თვითონ აღნიშნავდნენ 8 აგვისტოს ომის დაწყების თარიღს და შემდეგ უცებ გადაერთნენ 7 აგვისტოზე. შობა უნდა აღინიშნოს არა 7 იანვარს, არამედ 25 დეკემბერს და ა.შ. ყველაფერში უნდა გახლიჩონ საზოგადოება. ეს არის „დიფ სთეითის“ დამოკიდებულება. არაფერი არ უნდა აერთიანებდეს საზოგადოებას, თარიღებიც კი, დღესასწაულებიც კი. ეს არის მათი დამოკიდებულება. აქაც – 26 მაისი უნდა იყოს ორად გაყოფილი და საზოგადოება ორად უნდა გაიხლიჩოს. ჩვენ ამის საშუალებას „დიფ სთეითს“ არ მივცემთ. ყველას, ვინც სხვა დაკვეთით შეიძლება მოქმედებდეს, სალომე ზურაბიშვილის ჩათვლით, ვაფრთხილებთ, რომ ფეხი არსად დაუცდეთ“**, – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ**.



**ქართველი საზოგადოება ამას არ დაუშვებს! ზოგადად, გაუგებარია სალომე ზურაბიშვილის განცხადება – „ჩავიბაროთ 26 მაისი“ – რას ნიშნავს? საერთოდ, იცის ამ დღის მნიშვნელობა? იცის, რას ნიშნავს დამოუკიდებლობა, მისთვის ბრძოლა და თავისუფლება? რა თქმა უნდა, არა! ზურაბიშვილმა თავისუფლების ფასი რომ იცოდეს, უცხო ქვეყნის აგენტი და მონა არ იქნებოდა!**

* * *

„ქართული ოცნების“ წევრის, **ირაკლი ქადაგიშვილის** განცხადებით, სალომე ზურაბიშვილის კურატორს წამოსცდა რომ ამდენი ხნის განმავლობაში ერთი სისხლი არ დაღვრილა. შესაბამისად, დეპუტატის განცხადებით, შეეცდებიან, 26 მაისი იქნება თუ სხვა საბაბი, ამის პროვოცირება მოახდინონ.

**„ამ ადამიანებს სისხლისღვრის კადრები არ ჰყოფნით. სალომე ზურაბიშვილის კურატორს, „მაკკეინის ინსტიტუტის“ წარმომადგენელს წამოსცდა–ამდენი ხანია, სისხლი არ დაღვრილაო. მათი მიზანი ეს იყო და ეს არის. მათი ამოცანაა, ქვეყანაში რამენაირად დაპირისპირება გაღვივდეს. სხვა მიზანი არ გააჩნიათ. სისხლისღვრას საკრალური მნიშვნელობა და ძალა აქვს. ამიტომ ისინი შეეცდებიან, რომ 26 მაისი იქნება თუ სხვა საბაბი, ამის პროვოცირება მოახდინონ“**, – აღნიშნა **ირაკლი ქადაგიშვილმა**.

პარტია „ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი **გურამ მაჭარაშვილი** აცხადებს, რომ ზურაბიშვილის გამოხტომები დაკავშირებულია „დიფ სთეითის“ ბრძანებებთან, ხედავენ, რომ „ნაცმოძრაობის“ როლი მინიმალურია და ცდილობენ, საზოგადოებაში დისონანსი შეიტანონ.

**„ზურაბიშვილი და მისი მომხრეები ამბობენ, რომ ის პრეზიდენტია და რამის თავი თუ აქვს, ერთი ადამიანის შეწყალება დაწეროს და ვნახოთ, რა შედეგი ექნება. მერე რეალური გახდება, ეს ადამიანი ბაქიბუქობს თუ სიზმრებშია. 26 მაისის აღლუმის ჩაბარებაზე ლაპარაკობს და ვინმემ აუხსნას, რომ პრეზიდენტი აღარ არის. სხვადასხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ზოგი პრეზიდენტია, ზოგი – გენერალური პროკურორი და ზოგიც – ნაპოლეონი. ამას ვინ დაუშლით. ამ კონტექსტში ცხოვრება სალომე ზურაბიშვილსაც შეუძლია“**, – განაცხადა **გურამ მაჭარაშვილმა**.

ანალიტიკოსი **დავით ჩიხელიძე** აცხადებს, რომ 26 მაისთან დაკავშირებით სალომე ზურაბიშვილის განცხადება ანტისახელმწიფოებრივია. 26 მაისი ქართველი ხალხის საკუთრებაა, ჩვენი წინაპრების მონაპოვარია, რომლის მისაკუთრების უფლება უცხო ქვეყნის აგენტს არ აქვს.

**„ქართველი საზოგადოება ამას არ დაუშვებს! ზოგადად, გაუგებარია სალომე ზურაბიშვილის განცხადება – „ჩავიბაროთ 26 მაისი“ – რას ნიშნავს? საერთოდ იცის ამ დღის მნიშვნელობა? იცის, რას ნიშნავს დამოუკიდებლობა, მისთვის ბრძოლა და თავისუფლება? რა თქმა უნდა, არა! ზურაბიშვილმა თავისუფლების ფასი რომ იცოდეს, უცხო ქვეყნის აგენტი და მონა არ იქნებოდა! რეალურად, სალომე ზურაბიშვილმა გარე მტრების პოზიცია გაახმოვანა, რომელთაც საზოგადოებაში შუღლის, მიუღებლობის, პოლარიზების გაღვივება სურთ, რისი სისრულეში მოყვანაც არ მოხდება, რადგან სახელმწიფო ინსტიტუტები მოწოდების სიმაღლეზე არიან! ამ შემთხვევაში სალომე ზურაბიშვილი გრინჩის როლს ასრულებს, რომელიც არა ახალი წლის, არამედ დამოუკიდებლობის დღის მოპარვას ცდილობს, მინდა, გადაჭრით ვთქვა, დამოუკიდებლობის დღეს ვერავინ წაგვართმევს, მას სრულიად საქართველო იზეიმებს“**, – აცხადებს **დავით ჩიხელიძე**.

რაც შეეხება მთავრობის მეთაურის განცხადებას: **„ვაფრთხილებთ, რომ ფეხი არსად დაუცდეთ“, დავით ჩიხელიძის განცხადებით, ეს არ არის მუქარა, ეს არის პასუხისმგებლიანი სახელმწიფო მოღვაწის განცხადება, რომელიც კიდევ ერთხელ აფიქსირებს, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს პროვოკაციების მოწყობის უფლებას არავის მისცემს! „საზოგადოების გახლეჩა არ გამოვა, „დიფ სთეითი“ კვლავ იმედგაცრუიებული დარჩება“**, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **დავით ჩიხელიძემ**.

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**

**„დიფ სთეითის“ დაკვეთაა, რომ გახლიჩონ საზოგადოება. თქვენ გახსოვთ, თარიღებთან დაკავშირებით როგორი დისკუსია გამართეს. თვითონ აღნიშნავდნენ 8 აგვისტოს ომის დაწყების თარიღს და შემდეგ უცებ გადაერთნენ 7 აგვისტოზე. შობა უნდა აღინიშნოს არა 7 იანვარს, არამედ 25 დეკემბერს და ა.შ. ყველაფერში უნდა გახლიჩონ საზოგადოება. ეს არის „დიფ სთეითის“ დამოკიდებულება.**



**ალეკო ასლანიშვილი**

# მეგრელთა საქმე

## „ი პოვეთ ცენტრი!“

**გასაჭირში ჩავარდნილი ქართველი კოლეგების დასახმარებლად 1952 წლის იანვრის პირველ რიცხვებში სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან ჩამოვიდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის პასუხისმგებელ მუშაკთა (შესაბამისად ინსტრუქტირებულ გამომძიებელთა) ათკაციანი ჯგუფი საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის, პოლკოვნიკ ცეპკოვის ხელმძღვანელობით.**



**ვ. ცეპკოვი**
**სსრკ უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე**

*ვ. ცეპკოვი (დ. 1905 წ.). 1943-1946 წ.წ. სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის (სამინისტროს) განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსის თანაშემწეა, 1947-1950 წ.წ.-უკრაინის სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის უფროსი, 1950-1951 წ.წ.-მინისტრის მოადგილე კადრების დარგში, 1951-1953 წ.წ.-სსრკ უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე. 1953 წლის მარტში დააპატიმრეს „მეგრელთა საქმეში“ გამოჩენილი უკანონობისა და სიმკაცრის გამო, იმავე წლის აგვისტოში (ბერიას დამხობის შემდეგ) გაათავისუფლეს.*



**მ. რიუმინი**
**სსრკ უშიშროების მინისტრის მოადგილე**

*მიხეილ რიუმინი (1913-1954). 1941- 1945 წ.წ.– შინსახკომის არხანგელსკის საგანგებო განყოფილება „სმერშის“ გამომძიებელი, საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსი, შემდეგ იმავე თანამდებობაზე-ბელომორის სამხედრო ოლქში, 1945-1947 წ.წ.-სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მესამე მთავარი სამმართველოს („სმერშის“) განყოფილების ქვეგანყოფილების უფროსი გამომძიებელი, უფროსის მოადგილე, 1947-1951 წ.წ.-განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებელი, 1951-1952 წ.წ.-მინისტრის მოადგილე და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსი.*

მოსკოვიდან მოვლინებულ ჯგუფში შედიოდნენ ჩეკისტურ საქმეთა ისეთი ასები, როგორებიც იყვნენ საგამოძიებო ნაწილის უფროსის თანაშემწეები ა. **ბოლხოვიტინი** და უ. **ცვეტაევი**, გამომძიებლები ს. **ნეფედოვი, ჟულიდოვი, სუხოვი, მაკარენკო, სტეპანოვი** და სხვ.

თბილისში პოლკოვნიკ ცეპკოვის ბრიგადის ჩამოსვლის შემდეგ უზომოდ გამკაცრდა „მეგრელი ნაციონალისტების“ ციხეში ყოფნის ისედაც მკაცრი რეჟიმი. მათ აღარ უშვებდნენ ეზოში, აღარ აძლევდნენ წიგნებს, დაჰკითხავდნენ უპირატესად ღამით, სცემდნენ წინანდელზე გაცილებით ენერგიულად – თბილისის ციხეში გამომძიებელთა მუშაობის ასეთი გრაფიკი დაწესდა: 11-დან 17 საათამდე, შემდეგ ინტერვალი სადილისა და დასვენებისთვის, შემდეგ ისევ სამუშაო საათები 23-დან დილის 5 საათამდე. და მაინც, იმ შეთქმულების კონტურები, რომლის ძაფები ვითომდა პარიზში, სტამბოლსა და ქართული ემიგრაციის სხვა ცენტრებში მიდიოდა, არა და არ იკვეთებოდა.

1952 წლის იანვარში ი. სტალინს, სახელმწიფო უშიშროების მინისტრს ს. იგნატიევს და კ. ჩარკვიანს მიხა ბარამიას და სხვათა დაკითხვის პირველი ოქმები წარუდგინეს (შემდგომში დაკითხვის ოქმები სისტემატურად იგზავნებოდა ამ მისამართებზე).

რა თქმა უნდა, ადრესატები უკმაყოფილო დარჩნენ მწირი შედეგებით.

და აქ კვლავ მოსკოვი მოევლინა დამხმარედ გენერალ ნ. რუხაძეს, ამჯერად პატიმრების წამებით გამოტეხვის, ფალსიფიცირების დიდოსტატის მიხეილ რიუმინის სახით, რომელმაც „ექიმთა საქმისა“ და „ ლენინგრადის საქმის“ პირდაპირ საზღაპრო გაყალბებით, ბუზიდან სპილოს შექმნით გაითქვა სახელი.

ეს, როგორც იგონებენ „კოლორიტული და გამორჩეულად საზიზღარი“, დაბალი, მსუქანი, მოკლეკისერა, რვა კლასის განათლების მქონე, ლოთი კაცი, რომელმაც კარიერა მინისტრ ვიქტორ აბაკუმოვის დასმენით გაიკეთა, არარაობიდან მოკლე ხანში გახდა პოლკოვნიკი და აღიარებული სპეცი. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ეს „სპეცი“ ყოვლად უწიგნურად წარმართავდა გამოძიებას და ცემა-ტყეპით სძალავდა უაზრო ჩვენებებს პატიმრებს. მისი „მეთოდები“ იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ გახმიანდა და 1952 წლის ნოემბერში, როგორც ამბობენ, უშუალოდ ი. სტალინის განკარგულებით, გააპანღურეს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან, ჯერ ბუღალტრის თანამდებობაზე გაგზავნეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზერვში, შემდეგ უფროსი კონტროლიორი იყო სსრკ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროში. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ 1953 წლის 17 მარტს ბერიას ბრძანებით დააპატიმრეს და 1954 წლის ივლისში იმქვეყნად გაისტუმრეს სსრკ  უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენით.

მაგრამ ჯერ მხოლოდ 1952 წლის იანვარია, პოლკოვნიკ მ. რიუმინის ზენიტში ყოფნის ხანა და მისი კეთილგანწყობა, ყოველი რჩევა, ძვირფასია პერიფერიებში მომუშავე ჩეკისტებისათვის. აი, ახლაც, ხელმძღვანელობის დავალებით, საქმიან დარიგებებს უგზავნის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრს, გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ რუხაძეს („მეგრელთა საქმის“ ტომეულებში მიკვლეული ეს წერილი ძალზე გრძელია, მაგრამ, ნამდვილად ღირს, მკითხველი სრულად გაეცნო).

*„პირადად ამხ. ნ. რუხაძეს.*

*თქვენ მიერ წარმოდგენილი ანტიპარტიული მეგრულ-ნაციონალისტური ჯგუფის წევრთა დაკითხვის ოქმები გადაათვალიერა მინისტრმა ამხ. იგნატიევმა და მე გადმომცა მათზე მითითებათა მოსაცემად. გავეცანი რა ოქმებს, იმ შენიშვნათა დამატებით, რაც მე თქვენ ზეპირად მოგეცით „ვჩ“-თი, საჭიროდ მივაჩნია, აღვნიშნოთ შემდეგი:*

*ბრალდებული ბარამია, როგორც ა. წ. 4-5 იანვრის ოქმიდან ჩანს, დაიკითხა საკითხთა ფართო წრით, რომლებიც დაკავშირებულია ნაციონალისტური ჯგუფის შექმნასა და პრაქტიკულ მტრულ მოქმედებასთან, თანაც თითოეული ამ კითხვათაგან ამ დროს დეტალურად არ გამოკვლეულა.*

*თუ გავითვლისწინებთ, რომ ბარამიამ ჯერ კიდევ არ აღიარა თავისი ხელმძღვანელი როლი  ანტიპარტიული ჯგუფის შეკოწიწებაში და, აქედან გამომდინარე, უარყოფს თავის დანაშაულს მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათაგან ყველაზე სერიოზულში ასეთი დაკითხვა ტაქტიკურად არასწორად უნდა ჩაითვალოს – იგი ასუსტებს ძიების პოზიციას და ართულებს სრულ მხილებას.*

*ხომ ცხადია, რომ ასეთი დაკითხვით ბრალდებულისათვის იოლდება შემდგომი გამოუტეხლობა, რადგან შესაძლებლობა ეძლევა, გაერკვეს, თუ რამდენად არის ძიება საქმეში ჩახედული მის დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, შემდეგ კი მოიფიქროს და განსაზღვროს ქცევის ხაზი შემდგომ დაკითხვებზე.*

*სწორი იქნებოდა ბარამიას ᲓᲐᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲘᲗᲮᲕᲐ (ხაზგასმა თავდიშვილის ან კუციავასია – ა.ა.) და ოქმების შედგენა ცალკეულ საკვანძო საკითხებზე, მათი ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲗ (მათივე ხაზგასმა – ა.ა.), დაპატიმრებულის სწრაფი მხილებისათვის გაანგარიშებული თანმიმდევრობით.*

*არადა, დაკითხვაზე ბრალდებულს ჯერ ჰკითხეს, როდის ᲨᲔᲐᲛᲩᲜᲘᲐ (მ. რიუმინის ხაზგასმა – ა.ა.), რომ მის გარშემო ჯგუფდებოდნენ ნაციონალისტურად განწყობილი მუშაკები მეგრელთა რიცხვიდან, შემდეგი კი ის, თუ როდის დაიწყო ᲨᲔᲛᲩᲜᲔᲕᲐ (მისივე ხაზგასმა – ა.ა.), რომ მის გარშემო დაჯგუფებას იწყებენ ნაციონალისტები.*

*ასეთი შეკითხვების დასმით ძიება ფაქტობრივად დაეთანხმა ბარამიას ჩვენებებს, რომ ნაციონალისტები ᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲓᲜᲔᲜ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲛᲩᲜᲔᲕᲚᲐᲓ (მ. რიუმინის ხაზგასმა – ა.ა.), ᲗᲣᲛᲪᲐ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲔᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ (თავდიშვილის ან კუციავას ხაზგასმა – ა.ა.) და ძიების პროცესში, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲧᲝ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡᲒᲐᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ (კვლავ მათი ხაზგასმა – ა.ა)., რომ სწორედ ის ასრულებდა ხელმძღვანელ როლს ჯგუფის ფორმირებაში.*

*ბარამიას განცხადების შემდეგ, რომ ნაციონალისტურად განწყობილმა მეგრელმა მუშაკებმა მის გარშემო დაჯგუფება 2-3 წლის წინათ დაიწყეს, მას მიეცა შეკითხვა:*

*„მხოლოდ უკანასკნელ 2-3 წელიწადში გაგიშინაურდნენ მეგრელი მუშაკები, თუ უფრო ადრე?“*

*ნათელია, რომ ეს შეკითხვა ჩამოყალიბებულია პოლიტიკურად არასწორად, რამეთუ მასში წაშლილია განსხვავება ბარამიასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ ნაციონალისტურად განწყობილ მეგრელებსა და პატიოსან, პოლიტიკურად არაკომპრომეტირებულ მეგრელებს შორის, რომლებიც მართალია ახლოს იყვნენ ბარამიასთან, მაგრამ მასთან არ ჰქონდათ დანაშაულებრივი კავშირი.*

*უხეირო, დაპატიმრებულთან პოლემიკაზე მიმართულს განეკუთვნება შეკითხვები:*

*ნორმალურად მიგაჩნიათ, როცა ისინი ხოტბას გასხამდნენ და გემლიქვნელებოდნენ? გიჩლუნგებდათ თუ არა ეს სიფხიზლეს?“*

*განა თქვენი ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, აგრეთვე მეგრული ნაციო-*

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ
„სრ“ №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-66

# ეს ჩვენი ისტორიაა

საქართველო, რესპუბლიკა



პეტრე შარია,
გიორგი სტურუა,
კანდიდ ჩარკვიანი,
ზაქარია ჩხუბიანიშვილი

*ნალიზმის გამოვლინება, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მტრულ მოქმედებას არ წარმოადგენს?“ და სხვ.*

*ბარამიას ზოგიერთი ჩვენება ოქმში გადმოცემულია ბუნდოვნად, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში პოლიტიკურად არასწორად არის ჩაწერილი. მაგალითად, ოქმში ფიქსირებულია ბარამიას ჩვენება, სადაც აცხადებს, მას შემდეგ, რაც სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილებას გავეცანი, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ „ეს მუშაკები მართლაც დაჯგუფდნენ“ ჩემს გარშემოო. გამოდის, რომ მხოლოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გახდა ნაციონალისტ ბარამიასთვის ნათელი, რომ იგი ნაციონალისტურ საქმიანობას ეწევა.*

*ან: ოქმში ჩაწერილია ბარამიას ჩვენებები, რომლებშიც უარყოფილია ჩამოყალიბებული ნაციონალისტური ჯგუფის არსებობა და იქვე ლაპარაკია, რომ პრაქტიკულად ასეთი ჯგუფი იყო.*

*ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება.*

*გთხოვთ, ეს შენიშვნები გაითვალისწინოთ ბარამიას, რაფავას და სხვათა გამოძიებისას.*

*საქმისათვის სასარგებლოდ მიმაჩნია თქვენი ორიენტირება სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან მიღებულ მითითებებზე. იხელმძღვანელეთ ამ მითითებებით, ისინი შემუშავებულია სხვა ანტისაბჭოთა ნაციონალისტური ჯგუფების საქმეთა გამოძიებებისას, რომლებიც მოქმედებდნენ უცხოეთის დაზვერვათა დავალებით.*

*ამ მითითებათა თანახმად, ნაციონალისტური ჯგუფების ყოველი წევრის დაკითხვისას უნდა გაირკვეს: როდის და ვისი გავლენით გახდა ის ნაციონალისტი, რა პროგრამა აქვს, რა მიზნებს ისახავს ეს ჯგუფი. პატიმრები უნდა ვამხილოთ იმაში, რომ ისინი მუშაობაში შეცდომებსა და ჩავარდნებს კი არ უშვებდნენ, არამედ, დანაშაულს ჩადიოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ და ამ დროს საგულდაგულოდ გამოვარკვიოთ – ხომ არ არსებობს ცენტრი, რომელიც ბრალდებულთა მტრულ საქმიანობას წარმართავს, რა არხებით ხორციელდებოდა კავშირი ცენტრთან. საგულდაგულოდ უნდა იქნეს გამოკვლეული აგრეთვე, თუ რომელ უცხოელებზე იყვნენ ორიენტირებული ნაციონალისტები, როგორ იყვნენ დაკავშირებული მათთან, რა დახმარების მიღებას ვარაუდობდნენ გარედან.*

*იმის გათვალისწინებით, რომ მეგრელ ნაციონალისტთა მტრული საქმიანობა ანალოგიურია იმ ნაციონალისტთა დანაშაულებრივი საქმიანობისა, რომლებზეც სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ მიიღო ეს მითითებები, აუცილებელია ბარამიას და სხვათა საქმის გამოძიებისას სერიოზული ყურადღება მიექცეს ჩამოთვლილ საკითხთა გამოკვლევას.*

*ამასთან ერთად, გთხოვთ დავალება მისცეთ, კვლავ დაჰკითხონ ნაციონლისტური ჯგუფის წევრები შონია და რაფავა ჩვენთან ძიებაში მყოფ დაპატიმრებულ ბარკალაიასთან მათი მტრული კავშირის თაობაზე და დაკითხვის ოქმები გამოგზავნოთ სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში.*

*რიუმინი.*
*19. I. 52 წ.“*

წერილს თან ახლავს რუხაძის რეზოლუცია: **„ამხ. თავდიშვილს და კუციავას. გაითვალისწინეთ ბარამიას ჯგუფის საქმის ძიებისას“.**

ამით კიდევ ერთხელ ირკვევა, რომ მოსკოვი ერთობ დაინტერესებულია, რათა „ბარამიას ჯგუფს“ მიაბან უცხოეთთან კავშირი, იპოვონ „ცენტრი“...

* * *

**იმპერიის დედაქალაქიდან ტრაფარეტი მიღებულია და ძიება ახალ ფაზაში შედის.**

აპრილის დასაწყისში ავქსენტი რაფავა, მიხა ბარამია და გრიგოლ კარანაძე მკაცრ რეჟიმზე გადაჰყავთ – უძილობით აოსებენ. გამომძიებელთა ამოცანაა, გამოგლიჯონ აღიარება, რომ „ნაციონალისტური მეგრული ჯგუფი“ საზღვარგარეთთან არის დაკავშირებული **ავქსენტი რაფავას, პეტრე შარიას, თეიმურაზ შავდიასა** და **ილია თავაძის,** ესე იგი ბერიას ახლობელ ადამიანთა საშუალებით.

ეს პიროვნებები არაერთხელ ვახსენეთ და კიდევ ვახსენებთ. მხოლოდ შავდიას გვარი არ გამოჩენილა. ვინ იყო ეს კაცი, რომლის საშუალებითაც ბარამიას თითქოს კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთთან და რომლის ბრალდებებიც საქართველოს უშიშროების სამინიტროს არქივში „მეგრელთა საქმის“ ტომეულების პარალელურად, ცალკე კიდევ ორ ტომშია შემონახული?

თეიმურაზი ლავრენტის მეუღლის ნინა გეგეჭკორის ნახევარძმის ნიკოლოზ შავდიას შვილი გახლდათ. ბერიას ვაჟის სერგოს თანატოლი და მეგობარი იყო. მათ ახლობლობას ხელს ისიც უწყობდა, რომ თბილისში მეზობლად ცხოვრობდნენ.

1940 წელს 17 წლის თეიმურაზი პოდოლსკის სამხედრო-მსროლელთა სასწავლებელში ჩაირიცხა, შემდეგ უფრო პრესტიჟულ ნოვობორისოვის სატანკო სასწავლებელში გადავიდა. 1941 წლის ივლისში, ომის დაწყების პირველსავე დღეებში იგი სმოლენსკთან ტყვედ ჩავარდა. ბანაკში, როგორც გერმანული ენის მცოდნეს, თარჯიმნად ამსახურებდნენ. 1942 წლის გაზაფხულზე ეს ბანაკი პოლონეთის ტერიტორიაზე არსებული ვერმახტის ქართული ლეგიონის ერთ-ერთმა მეთაურმა, პოლკოვნიკმა შალვა მაღლაკელიძემ მოინახულა. შავდია დათანხმდა მის წინადადებას, ჩაიცვა ლეგიონერის ფორმა და ბოლშევიკებისაგან საქართველოს გათავისუფლებისთვის ებრძოლა. იგი სხვა მოხალისეებთან ერთად პოლონეთში, კრუშნას ბანაკში გადაიყვანეს და 796-ე ქართული ქვეითი ბატალიონის მეორე ქვედანაყოფის მეთაურად დანიშნეს.

იმავე წლის სექტემბერში თეიმურაზი ამ ბატალიონის შემადგენლობაში მონაწილეობდა წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში ტუაფსესთან. 1943 წლის დასაწყისში ყირიმში მდგომ ქართულ ქვეით ბატალიონში გადაიყვანეს, რომელიც რკინიგზის კომუნიკაციებს იცავდა. იქ კარგი სამსახურისათვის მედლით დაჯილდოვდა. 1943 წლის თებერვალში, როგორც სანდო ლეგიონერი, კელცის (პოლონეთი) ბანაკში გაგზავნეს, სადაც პროპაგანდისტებს ამზადებდნენ ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიებზე დაწესებულებებში სამუშაოდ. შავდია სპეციალურად შექმნილ მე-2 „K“ („კავკასია“) ჯგუფში ჩარიცხეს, რომელიც ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელებისა და ჩრდილოკავკასიელთაგან იყო დაკომპლექტებული. მათ ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის მართვის ორგანოებისთვის ამზადებდნენ. მაგრამ 1943 წლის ბოლოს, როცა კავკასიის დაპყრობის იმედმა ჩაილურის წყალი დალია, რეკრუტთა უმრავლესობა, მათ შორის თ. შავდიაც, ეროვნულ ფორმირებებში დააბრუნეს.

1944 წელს თავისი უშუალო უფროსის, შტანდარტენფიურერ პ. წულუკიძის რეკომენდაციით სს-ში შევიდა და უნტერშარფიურერის წოდება მიიღო. იგი პარიზში გაგზავნეს სს-ის ქართული ასეულის შემადგენლობაში.



ევგენი გეგეჭკორი

მონაწილეობდა ფრანგი სამხედრო ტყვეების გერმანიაში კონვოირებაში, ციხეების დაცვაში, გესტაპოს მიერ დაპატიმრებულ ფრანგ პატრიოტთა, მოკავშირეთა მედესანტეებისა და 1944 წლის ივლისის ანტიჰიტლერული შეთქმულების მონაწილე გერმანელი ოფიცრების დახვრეტებში.

პარიზში თ. შავდია გერმანიაში ქართველ ემიგრანტთა ლიდერს მექი კედიას შეხვდა. 1944 წლის აგვისტოს დასაწყისში, სხვა ესესელებთან ერთად, განსაკუთრებულ საბრძოლო ჯგუფში შეიყვანეს, რომელიც პარიზიდან უკანდახეული გერმანული არმიის ზურგის დაცვას უზრუნველყოფდა. აქ ბედმა უმუხთლა – ფრანგმა კომუნისტმა პარტიზანებმა დაატყვევეს.

შავი დღე ელოდა, მაგრამ მხსნელად პარიზში დაფუძნებული ე. წ. „ანტივლასოვური კომიტეტი“ მოევლინა (ამ საეჭვო ორგანიზაციაზე მოგვიანებით გვექნება ლაპარაკი): დატყვევებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბანაკიდან გაათავისუფლა ქართველმა ემიგრანტმა კონსტანტინე კობახიძემ და „ანტივლასოვურ კომიტეტში“ მიიყვანა, სადაც კომიტეტის ხელმძღვანელმა გიორგი გეგელიამ გადასცა ცნობა, თითქოს იგი წინააღმდეგობის წევრი იყო და თავი გამოიჩინა პარიზის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ამ ცნობის საფუძველზე დახმარების სახით თვეში 500 ფრანკს იღებდა. სხვა ქართველ ლეგიონერებთან ერთად ვერსალის საბჭოთა სამხედრო ტყვეთა ბანაკში მოათავსეს. ხვდებოდა ქართველ ემიგრანტებს. 1944 წლის აგვისტოში წარუდგა თავის ნათესავს ევგენი გეგეჭკორს, რომელმაც ფულით და ტანსაცმლით მოამარაგა. ამასობაში სსრკ კონსულმა (და, იმავდროულად, შინსახკომის რეზიდენტმა) ა. გუზოვსკიმ ბერიას პროტეჟეს, სსრკ საგარეო საქმეთა სახკომის მოადგილის ვლადიმერ დეკანოზოვის მოწერილობა მიიღო შავდიას აუცილებლად მოძებნის შესახებ. გეგელიამ კონსულს მაშინვე წარუდგინა „ძებნილი“.

აქამდე ჩვენ კეთილსინდისიერად მივყვებოდით თეიმურაზ შავდიას აცაბაცა კვალს, არქივში დაცული მასალების მიხედვით თითქოს გაუგებარი არაფერია.

ფრანგი ისტორიკოსი ფრანსუაზა ტომი, თავის „მეგრელთა საქმეში“, შავდიას ბედით ლავრენტი ბერიას ცხოველი დაინტერესების პირველ და უტყუარ ნიშნად სწორედ „ანტივლასოვური კომიტეტის“ მიერ მის დახსნას მიიჩნევს, მეორე ნიშნად კი – ამ სახელგატეხილი კაცის სამშობლოში პირდაპირ სასწაულებრივ დაბრუნებას.

ეს დაბრუნება ისე განხორციელდა, რომ თეიმურაზი კონტრდაზვერვა „სმერშის“ თვალთახედვის არეში არ მოხვედრილა, რომელიც რეპატრიანტთა ფილტრაციას გამადიდებელი შუშით ახდენდა.

საქმე პირდაპირ გენიალურად აეწყო. 1945 წლის 5 აპრილს პარიზიდან თბილისში ორი თვითმფრინავი გამოფრინდა, რომლებსაც 1921 წელს დემოკრატიული მთვრობის მიერ საქართველოდან საფრანგეთში გატანილი განძი მოჰქონდა. ეს დაბრუნება დე გოლისა და სტალინის მოლაპარაკების შედეგად განხორციელდა. თვითმფრინავში ისხდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, პეტრე შარია, ისტორიკოსი-ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი და ა. გუზოვსკი. განძს ორი მცველიც მოჰყვებოდა, რომლებსაც წითელი არმიის ფორმები ეცვათ. ერთი მათგანი თ. შავდია იყო, მეორე–მისი მეგობარი, აგრეთვე ვერმახტის ყოფილი ლეგიონერი მელაძე (საბჭოთა სამხედრო ფორმები ევგენი გეგეჭკორის პირადი თერძის მიერ იყო შეკერილიო, საგანგებოდ უსვამს ხაზს ფრანსუაზა ტომი). გამოფრენის წინადღეს თეიმურაზ შავდიამ ევგენი გეგეჭკორი და მისი მეუღლე მოინახულა, ქალბატონმა გეგეჭკორმა ნინა ბერიასთვის მას საჩუქრები – ნატის ორი ხელთათმანი, სუნამო „ლორიგანი“ და აბრეშუმის თავსაფარი გამოატანაო, ესეც იცოდნენ.

ასე უმტკივნეულოდ დაბრუნდა თეიმურაზ შავდია თბილისში. 1952 წლის თებერვალში „მეგრელთა საქმესთან“ დაკავშირებით დაპატიმრებამდე, მშვიდად ცხოვრობდა საკუთარ სახლში შარიასა და რაფავას მფარველობით.

პ. სუდოპლატოვი წერს („სპეცოპერაციები, ლუბიანკა და კრემლი“), უახლოეს თანამშრომლებს ბერიამ ამცნო, თეიმურაზი გესტაპოში ჩანერგილი ჩემი პირადი აგენტი იყოო.

დააპატიმრეს თუ არა, შავდიამ უშედეგოდ სცადა თავის მოგიჟიანება. 1952 წლის ივლისში მას 25 წელი მიუსაჯეს. სტალინის სიკვდილის უმალ გაათავისუფლეს, მაგრამ ბერიას დამხობის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ ჩასვეს.

ასეთი იყო თეიმურაზ შავდიას „საქმე“. მას ლავრენტის გასაშავებლად, მისი ორპირობის, მოღალატეობის დასამტკიცებლად აქტიურად იყენებენ მწერლები და ისტორიკოსები.

მართლაც საკითხავია, რამ აიძულა ბერია ჩაეტარებინა პარიზიდან სამშობლოში ყოფილი ესესელის ჩამოყვანის რთული და უაღრესად საშიში ოპერაცია. ვითომ ცოლის სიყვარულმა და პატივისცემამ? პასუხს, ალბათ, ვერასოდეს შევიტყობთ. მკვლევარი ფრანსუაზა ტომი, მაგალითად, ვარაუდობს, შავდიასნაირ ევროპაგამოვლილ ადამიანებს ბერია სოციალურ დასაყრდენად მოიაზრებდა სტალინის სიკვდილის შემდეგ დაგეგმილი პოლიტიკური და სოციალური რეფორმების განხორციელებისასო.

ძნელად გასაზიარებელი ვერსიაა!

ლავრენტი თავის თამაშს თამაშობდა. ქსელები ჰქონდა გაბმული ქართულ ემიგრაციასთან. ეს ერთ-ერთ ბრალდებად წაუყენეს კიდეც სასამართლოზე (მას თუ მის ორეულს, მნიშვნელობა არა აქვს). ოღონდ, რა ჰქონდა ჩაფიქრებული: ემიგრაციის გახრწნა-დაშლა, მათი სამშობლოში ჩამოტყუება თუ ემიგრაციის ფსონის ყოველი შემთხვევისთვის შემონახვა, ძნელი სათქმელია. ერთი რამ კი ცხადია: შავდიას საქმე ბერიას იმ საიდუმლო პოლიტიკის ანარეკლია, რომელიც ბედისწერად ექცა.

(გაგრძელება იქნება)

# ორგიები, მკვლელობები და ინტრიგები

## წმინდა საყდრის დემონები

### რელიგიურ საქმეთა ინსტიტუტი (IOR), ანუ ვატიკანის ბანკი 1982 წელს ფულის გათეთრების ბრალდებების გამო ჩამოიშალა!..



### წმინდა საყდრის დემონები

**სექსუალური მანიაკები, თაღლითი ფინანსისტები, ჯაშუშები და მკვლელები – მიუხედავად იმისა, რომ ვატიკანი შეიძლება მიწიერ სამოთხედ გამოიყურებოდეს, რომელსაც უმანკო წმინდანები იცავენ, მას თავისი დემონებიც ჰყავს. „ეკლესია წმინდაა, მაგრამ ცოდვილებისგან შედგება“**, – ციტირებს ისტორიკოსი, **მარტინ დიუმონი** პაპ ბენედიქტე XVI-ის ქადაგებიდან. მიუხედავად პაპ ფრანცისკეს მიერ გაწეული ძალისხმევისა, რომლის გარდაცვალებამ გასულ თვეში მსოფლიოს ყურადღება კვლავ გადაიტანა ამ უძველეს რელიგიურ ინსტიტუტზე, სასულიერო პირების მხრიდან არასრულწლოვნებსა და მონაზვნებზე სექსუალური ძალადობა დღემდე მიიჩნევა კათოლიკური ეკლესიის ყველაზე სერიოზულ დანაშაულად. გარდაცვლილმა არგენტინელმა პონტიფიკოსმა, თავისი გერმანელი წინამორბედის, ბენედიქტეს კვალდაკვალ, გარყვნილების სხვა ფორმებსაც, განსაკუთრებული მონდომებით კი – ფინანსურ დანაშაულებს შეუტია.

მიუხედავად იმისა, რომ ის ერთადერთი ბრალდებული არ არის, ვინც 2023 წელს მასშტაბური თაღლითობის, გაფლანგვისა და ფულის გათეთრების საქმეზე გაასამართლეს, ვატიკანში სწორედ ამ ადამიანის – კარდინალ ანჯელო ბეჩუს – სახელს უკავშირდება დედამიწაზე უფლის მოადგილის სახლში წესრიგის დამყარების მცდელობები. ვატიკანის სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ ოდესმე გასამართლებულ ყველაზე მაღალი რანგის სასულიერო პირს, ფრანცისკეს ყოფილ მრჩეველს განაჩენი გასაჩივრებული აქვს. მაგრამ ბევრისთვის ის მაინც სიხარბისა და კორუფციის განსახიერებაა – იმ ცოდვების, საუკუნეების განმავლობაში რომ აწუხებდა ეკლესიის მმართველ რომის კურიას, რომლის გადავსებული სალაროები ხშირად უკონტროლოდ რჩებოდა. მას შემდეგ, რაც დავა წარმოიშვა იმის თაობაზე, მისცა თუ არა ფრანცისკემ კონკლავში მონაწილეობის უფლება ბეჩუს, ეს უკანასკნელი დათანხმდა, რომ ახალი პაპის არჩევაში მონაწილეობას არ მიიღებდა.

იმ წინააღმდეგობის ფონზე, რომელსაც ახალი **პაპი ლეო XIV** აუცილებლად წააწყდება, მას შეიძლება



პაპი იოანე XI



პაპი ალექსანდრე VI ბორჯია

გაახსენდეს ფრანცისკეს სიტყვები იმის შესახებ, რომ კურიის რეფორმირება „კბილის ჯაგრისის მეშვეობით ეგვიპტური სფინქსის გაწმენდას“ ჰგავს.

### საქორწინო ორგია

**ამბიცია, ფული და მკვლელობები ვატიკანის ბნელ ისტორიაშია ჩაქსოვილი. 2000-წლიანი არსებობის განმავლობაში, რომის ეკლესიამ, „ზნეობის თვალსაზრისით, ჭეშმარიტად სკანდალური პერიოდები გაიარა“**, – ანონიმურობის პირობით განუცხადა სააგენტო „ფრანს პრესს“ ერთ-ერთმა საეკლესიო მაღალჩინოსანმა. რადგან ასეთი ეპიზოდები ძალიან ბევრია, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე ყველაზე ემბლემურ ფაქტს მოვიყვანთ. ვატიკანი არის ქალაქი-სახელმწიფო, რომელსაც წმინდა საყდარი მართავს, მთელი ძალაუფლება კი პეტრეს ტახტის მემკვიდრეს, რომის პაპს აბარია. იტალიის დედაქალაქის გულში ჩაფლული ბორცვები, რომლებზეც ვატიკანი მდებარეობს, საუკუნეების განმავლობაში, ყველაზე დეკადენტური წეს-ჩვეულებების მდუმარე მოწმეები არიან.

მსოფლიოში ყველაზე პატარა სახელმწიფო შედგება უამრავ განყოფილებაზე, ინსტიტუტსა და მუზეუმზე, აგრეთვე სასულიერო და საერო პირებზე დაშენებული კურიისგან, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ – რომის ეკლესიის მთავრობისგან, და შვეიცარიული გვარდიისგან, რომელიც სუვერენული პონტიფიკოსისა და მისი ტერიტორიის უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი. ერთი სიტყვით, ეს არის უბრალო ადამიანური საზოგადოება, რომელიც კარგი და ცუდი პიროვნებებისგან შედგება. მიუხედავად იმისა, რომ პაპი დედამიწაზე მცხოვრები 1,4 მილიარდი კათოლიკეს სულიერი წინამძღოლია, ის და მისი წინამორბედები უცდომელნი არ ყოფილან. მე-10 საუკუნეში ამბობენ, რომ პაპმა იოანე XII-მ ლატერანის სასახლე ჰარემად აქცია. ხუთი საუკუნის შემდეგ კი, პაპმა ბორჯიამ, იგივე ალექსანდრე VI-მ, ვატიკანში, თავისი ქალიშვილის ქორწილზე, ორგია მოაწყო.



ლონდონის ბლექფრაიერსის ხიდზე ჩამოკიდებული ვატიკანის ბანკის „ბანკო ამბროსიანოს“ დირექტორი რობერტო კალვი

### ბლექფრაიერსის ხიდზე ჩამოკიდებული

**რეალობაა თუ ლეგენდა, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. „რენესანსის ეპოქის დროინდელი პაპები სამაგალითოები არ იყვნენ. უპირველეს ყოვლისა, ისინი იყვნენ მეომრები, ადამიანები, რომლებიც ტერიტორიას იცავდნენ“**, – განმარტავს **პრელატი**. პაპის დინასტიები – **მედიჩები, პამფილები, ბორჯიები** – უზომოდ მდიდრები იყვნენ, ისინი თავის ნათესავებს საპატიო თანამდებობებსა და უზარმაზარ მამულებს ჩუქნიდნენ.

**„ნეპოტიზმი იყო იმ დროინდელი ეკლესიის ერთ-ერთი სიმსივნე, მაშინ პონტიფიკოსებს „პაპ-მეფეებად“ იხსენიებდნენ“**, – აღნიშნა **პრელატმა**.

**„პირველი, რასაც პაპი ხელისუფლებაში მოსვლისას აკეთებდა, იყო საკუთარი ოჯახის გამდიდრება და სხვების გაღატაკება – როდესაც მათ არ კლავდა“. რამდენიმე საუკუნის შემდეგაც, „ბანკო ამბროსიანოს“ ირგვლივ ატეხილი დიდი სკანდალის მიზეზი კვლავ ფული გახდა. უფრო ზუსტად კი – რელიგიის საქმეთა ინსტიტუტის (IOR), ანუ ვატიკანის ბანკის აქციების საკონტროლო პაკეტი.**

**ეს ბანკი 1982 წელს მაფიის ფულის გათეთრების ბრალდებების ფონზე ჩამოიშალა, მისი დირექტორი რობერტო კალვი კი, იმავე წელს, ლონდონის ბლექფრაიერსის ხიდზე ჩამოკიდებული იპოვეს. შვეიცარიული გვარდიის მეთაურს, ალოის ესტერმანსაც სამწუხარო ბედი ეწია. 1998 წელს ის და მისი მეუღლე ვატიკანის ბინაში ერთ-ერთმა მისივე ნაცნობმა ცეცხლსასროლი იარაღით დახოცა, რომელმაც შემდეგ თავი მოიკლა.**

**დაჩაგრული ჯარისკაცის სასოწარკვეთილი ქმედება? უცხოური ჯაშუშური სამსახურის შეცდომა? ღალატის დრამა? – საიდუმლო დღემდე ამოუხსნელი რჩება. „როგორიც არ უნდა ყოფილიყო მათი ბუნება, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მათი ეპოქა, პაპებისა და მათი კურიის გარყვნილება ეკლესიის მორალურ დოგმებს ეჯახებოდა, რის შედეგადაც ზოგიერთი მათგანი გაირიყა“**, – ამბობს რელიგიის ისტორიკოსი **დიუმონი**. საპასუხო ქმედებები ზოგჯერ საკმაოდ მკვეთრი იყო. რეფორმატორმა მარტინ ლუთერმა, რომელმაც დაგმო ეკლესია და ინდულგენციებით ვაჭრობისთვის „ბაბილონი“ უწოდა, სათავე დაუდო რომის ეკლესიის გაყოფას, რაც პროტესტანტული რეფორმაციით დასრულდა.



ორგიები ბორჯიების სასახლეში



შვეიცარიული გვარდიის მეთაური ალოის ესტერმანი

# რომის პაპი ლეო XIV პირველი ამერიკელია!

## ირაკლი კობახიძე:

„საქართველოს მთავრობის სახელით გულწრფელად ვულოცავ მის უწმინდესობას, ლეო XIV-ს რომის პაპად არჩევას.

ვუსურვებთ მას სიძლიერეს, სიბრძნესა და ღვთის წყალობას კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობის წმინდა მისიის შესრულებაში“.

## მიხეილ ყაველაშვილი:

„გულითადად ვულოცავ ლეო მე-XIV-ს რომის პაპად არჩევას. საქართველო აფასებს ისტორიულ კავშირებს წმინდა საყდართან და მზადაა განაგრძოს მშვიდობაზე, ურთიერთპატივისცემასა და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული ურთიერთობები“!

* * *

შეგახსენებთ, რომ ამერიკელი კარდინალი რობერტ ფრანცის პრევო რომის პაპად აირჩიეს. პაპის რანგში მისი სახელი ლეო XIV იქნება“.

## პაპის ინაუგურაცია 18 მაისს გაიმართება

რომის ახალი პაპის ლეო XIV ინაუგურაციის ცერემონია 18 მაისს გაიმართება. ინფორმაციას **Reuters**-ი ვატიკანზე დაყრდნობით ავრცელებს.

ინაუგურაციის შემდეგ რომის პაპი უფლებამოსილების განხორციელებას ოფიციალურად შეუდგება. სააგენტოს ცნობით, ინაუგურაციიდან სამი დღის შემდეგ ლეო XIV-ს პილიგრიმებთან ოფიციალური აუდიენცია ექნება.

# ახალი პაპი ლეო XIV

## ვინ არის ამერიკელი რობერტ ფრენსის პრევოსტი?



**69 წლის რობერტ ფრენსის პრევოსტი ხუთშაბათს 8 მაისს პირველი პაპი გახდა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებშია დაბადებული. მას იცნობენ ზომიერი შეხედულებების მქონე პიროვნებად, რომელსაც მოსმენის უნარი გააჩნია, არის კარგი მოდერატორი და კარგად იცნობს როგორც ვატიკანის შიდა სამზარეულოს, ასევე მისი საგარეო პოლიტიკის მიმართულებებს.**

**„ეპისკოპოსი არ უნდა იყოს პატარა პრინცი, რომელიც მუდმივად თავის სამეფოში ზის. ის ხალხთან ახლოს უნდა იყოს, მას ემსახუროს და მასთან ერთად იტანჯოს“**, – განაცხადა მან 2024 წელს ვებგვერდ Vatican News-თან ინტერვიუში.

2023 წელს ფრანცისკემ პრევოსტი კარდინალად აკურთხა, რამაც ხელი შეუწყო ვატიკანში მის აღზევებას. მანამდე ის შვიდი დიკასტერიის (ვატიკანის სამინისტროების ეკვივალენტი) წევრი იყო.

რობერტ ფრენსის პრევოსტი, კერძოდ, სათავეში ედგა საეპისკოპოსო კანცელარიას, რამაც ის აქცია წინა პაპის მრჩევლად პრელატების დანიშვნის საკითხში.

### ადამიანი, რომელსაც პაპი ფრანცისკე აფასებდა

**ფრანცისკე განსაკუთრებულად აფასებდა ამ ადამიანს, რომელსაც ხშირად ახასიათებენ როგორც თავშეკავებულსა და მოკრძალებულს. ეს პიროვნება წლების განმავლობაში გადახვეწილი იყო „პერიფერიებში“ – შორეულ ტერიტორიებზე, რომლებსაც ეკლესიის მხრიდან ბოლო დრომდე ყურადღება ნაკლებად ექცეოდა.**

ჩიკაგოში დაბადებულმა პრევოსტმა ჯამში ორი ათწლეული პერუში გაატარა, სადაც მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა და ქვეყნის ჩრდილოეთ მდებარე ჩიკლაიოს ეკლესიის არქიეპისკოპოს-ემერიტუსი გახდა.

მისი გამოცდილების, გლობალური ხედვისა და ვატიკანის ბიუროკრატიაში ნავიგაციის უნარის საფუძველზე, ვატიკანის ექსპერტებმა, არჩევნების წინ, პრევოსტი ამერიკელ კარდინალებს შორის ფავორიტად დაასახელეს.

### ყველაზე ნაკლებად ამერიკელი სხვა ამერიკელებს შორის

**იტალიურმა ყოველდღიურმა გაზეთმა „ლა რეპუბლიკამ“, ზომიერი ტონის გამო, პრევოსტი დაახასიათა, როგორც „ყველაზე ნაკლებად ამერიკელი სხვა ამერიკელებს შორის“.**

საეკლესიო სამართალში ღრმა ცოდნამ მას დიდი პატივი შესძინა კონსერვატორი კარდინალების თვალში, რომლებიც თეოლოგიური საკითხების მიმართ განსაკუთრებული მგრძნობელობით გამოირჩევიან.

ფრანცისკეს გარდაცვალების შემდეგ პრევოსტმა განაცხადა, რომ ეკლესიაში **„კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი“**.

**„ღვთის გზავნილი ყოველთვის ერთი და იგივეა (...), მაგრამ დღევანდელ ადამიანებთან, ახალგაზრდებთან, ღარიბებთან, პოლიტიკოსებთან მისი მიტანის გზა განსხვავებულია“**, – აღნიშნა მან.

**მონსინიორ პრევოსტი 1955 წლის 14 სექტემბერს დაიბადა. სწავლობდა წმინდა ავგუსტინეს ორდენის სემინარიაში, რომელშიც 1977 წელს შევიდა. თეოლოგის ხარისხის გარდა, ასევე აქვს მათემატიკოსის დიპლომი.**

**1982 წელს მღვდლად აკურთხეს და ორი წლის შემდეგ, მისიონერად გაგზავნეს პერუში, სადაც მრავალი წელი დარჩა.**

**1999 წელს დაბრუნდა ჩიკაგოში, როგორც შუა დასავლეთის ავგუსტინელთა ხელმძღვანელი, შემდეგ კი (2001 წელს) – გენერალური პრიორი.**

**2014 წელს პაპმა ფრანცისკემ ის ჩრდილოეთ პერუში, ჩიკლაიოს ეპარქიის სამოციქულო ადმინისტრატორად დანიშნა.**

**2023 წელს მონსინიორ პრევოსტი ვატიკანის მთავრობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თანამდებობაზე – ეპისკოპოსთა გავლენიანი დიკასტერიის პრეფექტად დაინიშნა.**

**ამ სტრატეგიულ პოსტზე მან შეცვალა კანადელი კარდინალი მარკ უელე, რომელიც სექსუალურ ძალადობაში იყო ბრალდებული და თანამდებობიდან ასაკის გამო გადადგა.**

**მონსინიორ პრევოსტი ასევე არის ლათინური ამერიკაში რომის პაპის კომისიის პრეზიდენტი.**



# ერთი ჩვეულებრივი დღე ძველ რომში

**ძველი რომის ცხოვრება ერთი დიდი სპექტაკლი იყო — შრომა, აბანოში სიარული, ხალხმრავალი ბაზრები და პოლიტიკური დებატები ფორუმზე. თუმცა, როგორ გადიოდა რიგითი მოქალაქის ერთი დღე და რას აკეთებდა ჩვეულებრივი რომაელი, მაგალითად, პირველი საუკუნის დროინდელ იმპერიაში?**

**რომაელები მზის ამოსვლისას იღვიძებდნენ. დღის პირველი საათები ყველაზე აქტიურად ითვლებოდა — საქმეები ადრე უნდა დაეწყო, რათა შემდგომ სიცხისგან თავი დაეღწია. მაღალ ფენას მონები ემსახურებოდნენ: გაღვიძება, დაბანა, თმის დავარცხნა, გაპარსვა და სხვა მსგავსი აქტივობები მათ დამოუკიდებლად არ უწევდათ.**

პატრიციები (არისტოკრატია) მსუბუქად საუზმობდნენ — პური, თაფლი, ყველი ან ზეთისხილი. პლებეები, (დაბალი ფენა) ხშირ შემთხვევაში, საუზმეს საერთოდ ტოვებდნენ ან პურითა და წყლით კმაყოფილდებოდნენ.

სამუშაო დროს, შუადღემდე, მდიდრები მიდიოდნენ ფორუმზე, სადაც მონაწილეობდნენ პოლიტიკაში, ესაუბრებოდნენ ადვოკატებსა და სხვა პროფესიის ადამიანებს.

ხელოსნები და ვაჭრები დილიდან ხსნიდნენ პატარა სამუშაო ჯიხურებსა თუ მაღაზიებს. მეურნეები ქალაქგარეთ მიდიოდნენ მიწის დასამუშავებლად.

შუადღე აბანოსა და დასვენების დრო იყო. რომში დღის ყველაზე პოპულარული დრო სწორედ აბანოებში გატარებული საათები გახლდათ. ეს იყო სოციალური სივრცე, სადაც მამაკაცები და ქალები ცალ-ცალკე იკრიბებოდნენ, განაობდნენ, საუბრობდნენ პოლიტიკაზე, საქმეებსა თუ სხვადასხვა ჭორზე.

აბანოს შემდეგ მსუბუქი ლანჩის დრო დგებოდა: პური, ხორცი ან ლობიო, ცოტა ღვინოც. ღარიბები თავს ხშირად მხოლოდ ხორბლის ფაფით იკმაყოფილებდნენ.

საღამოს მდიდრული ვახშამი იმართებოდა, რისი შესაძლებლობაც, ძირითადად, მხოლოდ ელიტას ჰქონდა. ისინი სასადილო ოთახში ტახტებზე წამოწვებოდნენ და ერთმანეთთან საუბრის პარალელურად მიირთმევდნენ. აქ საჭმელი მრავალფეროვანი იყო: ხორცი, თევზი, ბოსტნეული, ხილი, ხანდახან ეგზოტიკური ცხოველებიც კი

რომაული ქუჩები ღამით საშიში იყო. დაბალი ფენის ადამიანები ცდილობდნენ, ადრე დაეძინათ, სიმდიდრე კი, იმის საშუალებას იძლეოდა, დღე სხვადასხვა ტიპის სანათით გაგრძელებულიყო.

**ჩვეულებრივი დღე ძველ რომში, ერთი მხრივ, ნამდვილად იყო მკაცრი და გადატვირთული – შრომა, სიცხე, ბრძოლა გადასარჩენად, მეორე მხრივ – ეს იყო სოციალურად გადაჯაჭვული საზოგადოება, სადაც აბანო, ბაზარი და ფორუმი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ყოველდღიურ ცხოვრებაში.**



**რუსული პროპაგანდა ცდილობს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები უკრაინაში მიმდინარე ომის, ე.წ. CBO-ს ვეტერანებით ჩაანაცვლოს, ხოლო სტალინი — პუტინით.**



# პუტინი VS სტალინი – „ჩანაცვლების ოპერაცია“

**პუტინს აქვს გეგმა. ვითომ სამშვიდობო, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი სულაც არ გულისხმობს საომარი მოქმედებების შეჩერებას. როგორც კი გაცნობიერა, რომ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებული ხოცვა-ჟლეტიდან „გამარჯვებად“ ვერავის ვერაფერს შეასაღებდა, რუსეთის უმაღლესი მთავარსარდალი შეუდგა „სპეციალური ჩანაცვლების ოპერაციას“ და გადაწყვიტა, 80 წლის წინანდელი გამარჯვება საკუთარ საჭიროებებზე მოერგო.**

ერთი მხრივ, პუტინი უსირცხვილოდ იყენებს იმ დანაკარგებს, მწუხარებას და გამარჯვების სიხარულს, რომელიც მეორე მსოფლიო ომმა მოუტანა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ მილიონობით ადამიანს (თითქმის ყველა ოჯახს), რომელთა შთამომავლები დღეს რუსეთის მეზობლად, დამოუკიდებელ სახელმწიფოებში ცხოვრობენ. მეორე მხრივ კი, პუტინი ისტორიას თავის თარგზე ჭრის, ათავისუფლებს მას ყველაფრისგან, რაც არ შეესაბამება რუსეთისა და გარესამყაროს გადაკეთების მისეულ გეგმებს. „დიდი სამამულო ომის“ პროპაგანდისტული მითი ანაცვლებს ომის რეალურ მეხსიერებას; ამავდროულად, ხდება უკრაინაში მიმდინარე ომის მითების შერევა ისტორიულ მითებთან და ამ გზით მომავალი თაობებისათვის ახალი მითების მიღება.

დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, რომლებიც, ბუნებრივი მიზეზების გამო, თითქმის აღარ დარჩნენ, რუსეთის ხელისუფლება თანდათან „ანაცვლებს“ სვო-ს (**სვო – CBO – სპეციალური სამხედრო ოპერაცია – ასე უწოდებს რუსეთის მთავრობა უკრაინაში სრულმასშტაბიან ომს. – რ.თ.**) ახალგამომცხვარი ვეტერანებით“, რაც პუტინის გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია. რუსეთის სკოლებში დანერგილ ახალ საგანში „საუბრები მნიშვნელოვანზე“ მოსწავლეებს უკრაინაში შეჭრაზე მოუთხრობენ როგორც საბჭოთა ჯარისკაცების გმირობებისა და თავდადების ტრადიციების გაგრძელებაზე. პუტინიც ვოლგოგრადში სტუმრობის დროს პატრიოტიზმის გაკვეთილს იმ დროს ატარებს, როცა ადგილობრივი გუბერნატორი „მოულოდნელად“ დიდი სამამულო ომისა და „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ ვეტერანების სახელით, ქალაქის აეროპორტისთვის „სტალინგრადის“ სახელის მინიჭების ინიციატივით გამოდის.

**„მათი სიტყვა ჩემთვის კანონია, ასე რომ, ჩვენ ამას გავაკეთებთ“**, – წარმოთქვამს პუტინი წინასწარ მომზადებულ პასუხს. ფირნიში შესაბამისი განკარგულების ხელმოწერაზე სწრაფად იცვლება და ამგვარად, პუტინი პირველად ლეგალურად „ეყრდნობა“ სტალინს, რომელიც „სპეციალური ჩანაცვლებითი ოპერაციისა“ და, შესაბამისად, კრემლის მითოლოგიის ფარგლებში, მისაღებ და სასურველ პერსონაჟად იქცა. და მართლაც, ციხეებსა და კოლონიებში ნაწამები ადამიანების რაოდენობის მიხედვით თუ არა, წამებისა და სიმხეცის ხარისხის მიხედვით, პუტინის რეჟიმი სრულად შეესაბამება „ორიგინალს“: მხოლოდ გასულ აპრილში რუსეთში აღირიცხა პოლიტიკურად მოტივირებული 90 საქმე და 145 მსჯავრდადებული. ავიღოთ თუნდაც ტყვეობაში წამებით მოკლული უკრაინელი ჟურნალისტი ვიქტორია როშჩინა, რომელიც ერთ-ერთია პუტინის ჯალათების მიერ ათასობით დახოცილთა შორის.

რაც შეეხება „ეს-ვე-ო“-ში გამარჯვებებს – კრემლის მითების მთხზველები ოსტატურად ჭედავენ ახალ-ახალ მიღწევებს. მაგალითად, უკრაინაში მიმდინარე ომის უდიდეს მიღწევად მიჩნეულია მითი გაზსადენის მილზე, რომლის მეშვეობითაც რუსეთის ჯარებმა კურსკის ოლქის ქალაქ სუჯაში შეაღწიეს. არადა, სუჯა რუსმა სამხედროებმა მაშინ ვერ გაათავისუფლეს; ოპერაციის მონაწილეთა ნაწილი სამუდამოდ დარჩა იმ მილში, ხოლო ისინი, ვინც მილიდან გაღწევა შეძლეს, ბოლოს უკრაინელების ხელში აღმოჩნდნენ.

ყოველივე ამის მიუხედავად, ამერიდან მილი თითქმის წმინდათა წმინდაა. მისი ასლები დიდი ზარ-ზეიმით დაიდგა რუსეთის ქალაქებსა და დაბებში. ერთ-ერთი ასეთი მემორიალური „ტრუბა“ აღიმართა ომსკის ოლქის ქალაქ ისილკულში, საკათედრო ტაძრის მახლობლად. როგორც ომსკის ეპარქიის ვებსაიტზე გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, ძეგლმა ისილკულის მაცხოვრებლებსა და ქალაქის სტუმრებს უნდა შეახსენოს სამშობლოს დამცველების სიმამაცე და თავდადება.

**მორიგი ასეთი პროპაგანდისტული ხრიკია სამდღიანი „სადღესასწაულო ზავის“ გამოცხადება. მოსკოვში თან სასოწარკვეთილად ცდილობენ გამარჯვების უსაფრთხოდ აღნიშვნის უზრუნველყოფას, თან პარალელურად აჩვენებენ, რომ გაითვალისწინეს ტრამპის რჩევა, რადგან დღენიადაგ მშვიდობაზე ფიქრობენ.**

ტყუილიც კი გაავრცელეს მარკო რუბიოს აღლუმზე შესაძლო ჩასვლის შესახებ. თუმცა, ეს ყველაფერი ხდებოდა უკრაინის ქალაქების დაბომბვის ფონზე, რომლის აშკარა მიზანიც იყო უკრაინის მოსახლეობის იძულება, ზეწოლა მოეხდინათ თავიანთ პრეზიდენტზე, რათა ამ უკანასკნელს კაპიტულაცია გამოეცხადებინა. აპრილის პირველ 24 დღეში, ოდესის, ხარკოვის, კრივოი როგის, ნიკოლაევის, კიევის, სუმის, ჩერკასის, კუპიანსკის დაბომბვის შედეგად (სია მუდმივად იზრდება) – დაიღუპა ან დაიჭრა 848 მშვიდობიანი მოქალაქე, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 46%-ით მეტია.

თუმცა, ჩანაფიქრმა საპირისპირო შედეგი გამოიღო. ვოლოდიმირ ზელენსკიმ 9 მაისის სამდღიანი ცეცხლის შეწყვეტის წინადადება უარყო და უწოდა მას „თეატრალური დადგმა“, რომელიც, მისი თქმით, მიზნად ისახავს „იზოლაციიდან გამოსვლის ატმოსფეროს“ შექმნას. ზელენსკიმ გაიმეორა, რომ მოითხოვს უპირობო ცეცხლის შეწყვეტას მინიმუმ 30 დღით, ნებისმიერ დროს, დღესასწაულებთან მიბმის გარეშე.

თეთრი სახლის დერეფნებში უკვე ალაპარაკდნენ მაქოსებური დიპლომატიის მნიშვნელობაზე. უკრაინასთან მინერალების შესახებ შეთანხმება მიღწეულია, ტრამპს შეუძლია ანგარიში ჩააბაროს ამომრჩეველს, ხოლო მის გუნდს პუტინის გარეშეც საკმარისზე მეტი საქმე აქვს, რის შესახებაც სახელმწიფო დეპარტამენტმაც განაცხადა, რომ მდივანი რუბიო მოლაპარაკებებში შუამავლობისთვის „პირველივე დაძახილზე“ აღარ იფრენს. კონგრესშიც გამოცოცხლებაა.

სენატორმა ლინდსი გრემმა „რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შესახებ 2025 წლის აქტის“ (The Sanctioning Russia Act of 2025) გასატანად 67 თანამოაზრე შემოიკრიბა – ლიბერალი დემოკრატებიდან დაწყებული ტრამპის ერთგული რესპუბლიკელებით დამთავრებული. სანქციები ამოქმედდება იმ შემთხვევაში, თუ კრემლი მოლაპარაკებებში არაკეთილსინდისიერად მოიქცევა, დაარღვევს ნებისმიერ პოტენციურ სამშვიდობო შეთანხმებას ან გააფართოებს ომს უკრაინაში.

**ამასობაში, პუტინ-სტალინის მკაცრი სახე თითქოსდა მოსკოვიდან იჭვრიტება ცბიერად მოჭუტული თვალებით: თან ათვალიერებს „მოულოდნელად“ ცუდად გამხდარი ლიდერებიდან ვინ ჩავა მის მიერ მიტაცებულ დღესასწაულზე, თან მიანიშნებს, რომ ხელის განვდენაზე აქვს ბირთვული იარაღი, რომელიც უბრალოდ ჯერ არ დასჭირვებია. და კიდევ, მორიგ ჯერზე იძლევა გუნდოვან დაპირებას, რომ „2022 წელს დაწყებულს მიიყვანს რუსეთისთვის საჭირო ლოგიკურ დასასრულამდე“.**

**რადიო „თავისუფლება“**



**ციხეებსა და კოლონიებში ნაწამები ადამიანების რაოდენობის მიხედვით თუ არა, წამებისა და სიმხეცის ხარისხის მიხედვით, პუტინის რეჟიმი სრულად შეესაბამება „ორიგინალს“: მხოლოდ გასულ აპრილში რუსეთში აღირიცხა პოლიტიკურად მოტივირებული 90 საქმე და 145 მსჯავრდადებული. ავიღოთ თუნდაც ტყვეობაში წამებით მოკლული უკრაინელი ჟურნალისტი ვიქტორია როშჩინა, რომელიც ერთ-ერთია პუტინის ჯალათების მიერ ათასობით დახოცილთა შორის.**

# შოთა დარბუაშვილი: და ცოტაც, უნდა მაცალო!



**მაისია, – ყვავილების აფეთქება! ვარდობისთვეს რა სჯობია...**

**წელიწადის ამ ულამაზეს დრო-ჟამს (08.05.1955 წ.) დაბადებული, მამულ-დედულზე და, საერთოდ, მრავალჭირნახულ ივერთ სამკვიდროზე უზომოდ შეყვარებული, კაცი წრფელი და მართალი, საქართველოს მძიმე დღევანდელობაზე მწარედ ჩაფიქრებული, შვიდი ათეული წლის, საკუთარ სამშობლოში ოკუპირებული ცხინვალიდან დევნილი შოთა დარბუაშვილი, უპირველესად, სიტყვაკაზმული ქართულის ომახიანი ჩუქურთმის მჭრელი პოეტია:**

**„მე ცხინვალელი ბიჭი ვარ,**
**დედით და მამით ქართველი,**
**სიხარული ვარ, სიმღერა,**
**ლექსი, ფიქრი და სანთელი.“**

პატრიოტი მამულიშვილი ქართული, ოჯახის ღირსეული შთამომავალია. მისმა სიჭაბუკის წლებმა ცხინვალქალაქში გაიარა.

სამაჩაბლოელ პოეტს ადარდებს




ნაომარი, ქართველებისგან დაცლილი მშობლიური ქალაქი:

**„ჩვენო კოშწია ცხინვალო,**
**ჩემი ჭრილობის მალამო,**
**ომგადახდილო ტკივილო,**
**ნატანჯო ჩემო ქალაქო.“**

მიუხედავად ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ძნელბედობისა, დევნილობაში გავლილი და გასავლელი გაუსაძლისი დღეებისა, იგი იმედს არ კარგავს და მომავლისადმი ოპტიმიზმითაა განწყობილი:

**„არა, დრო მოვა, ინათებ**
**ასი ათასი სანთელით,**
**ქართული დროშის ფრიალში**
**ამოისუნთქებს ქართველი...**
**ამიტომ, როცა კითხულობთ,**
**მაინც რა არის ცხინვალი,**
**გპასუხობთ: არის ქალაქი,**
**საქართველოში მბრწყინავი.“**

ძირძველ ქართულ ქალაქში ახალგაზრდა შემოქმედმა, თანამოაზრეებთან ერთად, დააარსა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ბონვარონი“ (ცისკრის ნათება – **რ. ო.**). ანსამბლის სოლისტი, 1989 წლიდან სამხატვრო ხელმძღვანელია, სადაც იღვაწა ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტის დაწყებამდე. ამასთან, ქართულ-ხალხურ ანსამბლ „ლიახვის“ სოლისტს, ესტრადისა და ხალხური სიმღერების უზადო შემსრულებელს შემოვლილი აქვს მსოფლიოს არაერთი ქვეყანა.

ერთი დრო ამ ბიჭებისთვის მართლაც დაუვიწყარი იყო. კერძოდ, გასული საუკუნის 80-იანი წლები. სწორედ იქიდან იღებს სათავეს „ლიახვის“ დაარსება. მაშინ, ვოკალურ ანსამბლში გაერთიანდნენ ახალგაზრდები დავით ელბაქიძის ხელმძღვანელობით და, მიუხედავად მრავალი სირთულისა, მათმა მეცადინეობამ შედეგი გამოიღო. და, აი, 1985 წლიდან ცხინვალის რაიონის კულტურის განყოფილების გამგის – იუზა თადტაევას ხელშეწყობითა და მზრუნველობით, მომღერლებმა გზა გაიკაფეს.

რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი შოთა დარბუაშვილი სტუდენტობის წლებიდან ეწევა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას. პირველი ლექსი ცხინვალის ქართულენოვან გაზეთში დაბეჭდა. მას შემდეგ, ლექსებს, პუბლიცისტურ წერილებს სისტემატურად აქვეყნებს რეგიონულ თუ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. დევნილობაში გამოსცა პოეტური კრებულები: „სამაჩაბლოში ქართლის ცრემლია...“ (1992 წ.), „ლტოლვილი მქვია“ (1994 წ.), „წარსულის ნაამბორალი“ (2000 წ.), „შენდამი რწმენით“ (2020 წ.).

ჟამიანობით, ქართველებისგან აყრილ-მიტოვებული სამაჩაბლოს გამო, აღშფოთებულ პოეტს ადგილის დედა უხმობს, ეძახის:

**„გამომიხსენი! –**
**მესმის შენი**
**ხმა, განწირული,**
**ნატანჯო,**
**ჩემო ედემო**
**და ახლა**
**ნაცარო...**
**ცრემლით სავსეა**
**ეს თვალები**
**შენსკენ**
**მზირალი**
**და ცოტაც, ვიდრე გამოგიხსნი,**
**უნდა მაცალო!“**

ლიახვისპირელი შემოქმედისთვის დევნილობის მძიმე წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ამის დასტურია ის ტკივილიანი ლექსები, სიღრმისეულად რომაა გამოხატული ჩვენი დღევანდელი ყოფა და სულიერი განცდები. მას, რა თქმა უნდა, სურდა თავის მშობლიურ კუთხეში მშვიდობიანად ეცხოვრა და სულ სხვა თემაზე ეწერა, მაგრამ განგებამ ასე არ ინება:

**„გაურკვეველი არაფერია,**
**ჩემთვის ნათელი არის ყოველი,**
**ხან მხიარული, ხან სევდიანი,**
**მწვავს პოეზიის სევდის მორევი.**
**მუსიკის ხმებში ახშობენ**
**ტკივილს,**
**საოცარია ფერისცვალება,**
**ისევ მარტო ვარ და მეშინია**
**უცხო ქალაქში გარდაცვალება...“**

შიდა ქართლის ოკუპირებული ზონა თითოეული ქართველის სატკივარი, ჯერაც მოუშუშებელი იარაა. **„სამაჩაბლოში ქართლის ცრემლია!..“ – გულდარდიანად აცხადებს იუბილარი კალმოსანი შოთა დარბუაშვილი „და გვჯერა, რომ ეს ცრემლი მანამდე იწვეთებს, ვიდრე არ ჩაიწვება ერთიანი საქართველოსთვის მლოცველის ხელით დანთებული წმინდა სანთელი!“**

**რობერტ ოდიკაძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

# წმინდა ანდრია პირველწოდებული



**12 მაისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია წმინდა ანდრია პირველწოდებულს იხსენიებს, რომელიც საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებელი იყო.**

**...წმინდა ანდრია პირველწოდებულმა ქრისტეს მოძღვრება იქადაგა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიაში, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყნებში და სკვითიაში (დღევანდელ რუსეთში).**

**წმინდა ანდრიამ ქალაქ ტრაპიზონში (დიდაჭარა) მცირე ჟამი დაჰყო. მან იქ დაიწყო სახარების ქადაგება. ბევრი განსაცდელი დაითმინა ურწმუნოთაგან, მაგრამ ბევრიც მოაქცია...**

**აღსანიშნავია ისიც, რომ იმ ადგილას, სადაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი დაასვენა ანდრია პირველწოდებულმა, იქ მშვენიერმა წყარომ ამოჩქეფა. ქართველებმა იქ ააშენეს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.**

**ანდრია პირველწოდებულმა ცხუმში დატოვა სვიმონ კანანელი, თვითონ კი ჯიქეთისკენ წავიდა. საბერძნეთში ჩასულ ნეტარ ანდრიას ქალაქ პატრის მმართველი ჯვარზე გაკვრით დაემუქრა და აასრულა კიდეც.**

გიული ლიპარტია



# მხოლოდ სინანული და მონანიება გადაგარჩენთ!

**„ღრმა მწუხარებასა და შეშფოთებას გამოვხატავთ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი თეატრის სცენაზე გამართულ ღვთისმგმობელ წარმოდგენასთან დაკავშირებით.**

**ჭეშმარიტი ხელოვნება სიკეთის მსახურება და ამ სიკეთის ხალხისთვის გაზიარებაა. სწორედ ეს არის მისი არსი და დანიშნულება, მაგრამ როცა შემოქმედება იქცევა სხვათა დამცირებისა და შეურაცხყოფის იარაღად, თესავს ღვარძლს, სიძულვილს და სიბილწეს, იწვევს საზოგადოების გაღიზიანებას და დაპირისპირებას, მაშინ ის უკვე მიზანმიმართული გოროტებაა და არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ხელოვნებასთან.**

**როგორც წმინდა ბასილი დიდი ბრძანებს, თავისუფლება არ ნიშნავს იმის კეთებას, რაც გინდა, თავისუფლება ნიშნავს, აკეთო ის, რაც საჭიროა.**

**მოვუწოდებთ ყველას, პატივი სცეს და გაიაზროს პასუხისმგებლობა იმ სულიერი ფესვებისადმი, რომლებიც ადამიანის სულის განუყოფელი ნაწილია. თავის მხრივ, რა თქმა უნდა, საზოგადოების მოვალეობაა, მართებულად შეაფასოს, რომ ამგვარი ქმედება არ უნდა შეინიღბოს თავისუფლებისა და ხელოვნების სახელით, არ უნდა იქცეს ღვთის გმობის, რწმენის, ზნეობისა და ისტორიული მეხსიერების დაცინვის ინსტრუმენტად.**

**აღნიშნული ღონისძიების შემოქმედებს კი მოვუწოდებთ სინანულისკენ და შევახსენებთ, რომ ამგვარი მკრეხელობის ჩამდენი, შეუნანებლობის შემთხვევაში, საეკლესიო სასჯელის სახით, ეკლესიიდან განკვეთას ექვემდებარება“,** – ნათქვამია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საქართველოს საპატრიარქო

# 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღეა!

## საპატრიარქო 17 მაისთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

**„როგორც მოგეხსენებათ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2014 წელს 17 მაისი ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოცხადდა.**

**მიმდინარე წლის 17 მაისს, 13:00 საათზე, მცხეთა-თბილისის ეპარქიის (ასევე რუსთავიდან) სამღვდელოება და სამრევლოების წევრები შეიკრიბებიან ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, სადაც 14:00 საათზე აღევლინება პარაკლისი და დაიწყება საზეიმო მსვლელობა ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრისკენ.**

**ტაძრების წინამძღვრებს მიეცათ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) ლოცვა-კურთხევა, მრევლთან ერთად ჩაერთონ ლოცვით მსვლელობაში”.**





# ლენტეხი ვარსკვლავებით ამაყობს!

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის დელეგატის საქართველოს პარლამენტში, გოჩა ენუქიძის ერთობლივი ორგანიზებით, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.**

ღონისძიებაზე დაჯილდოვდნენ:

- **ეთერ ლიპარტელიანი** – ევროპის ჩემპიონი (ძიუდო);
- **ავთო მუკბანიანი** – ევროპის ჩემპიონი (სამბო);
- **გიორგი ჩანქსელიანი** – საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (ძიუდო);
- **თორნიკე გვიჭიანი** – საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოში.

სპორტსმენებს მიღწეული წარმატება მიულოცეს, სიგელები და ფულადი ჯილდოები გადასცეს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის დელეგატმა საქართველოს პარლამენტში გოჩა ენუქიძემ, სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ,** რწმუნებულის პირველმა მოადგილემ **ქრისტინა კობახიძემ,** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა **გია ონიანმა** და საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი გაზდელიანმა.**

ღონისძიება ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა.

# ისტორიაში პირველად

**ისტორიაში პირველად, ფიგურულ სრიალში საქართველო საერთაშორისო საციგურაო კავშირის ეგიდით ინიცირებულ ჩელენჯერის სერიის საერთაშორისო ტურნირს, „თრიალეთის თასი 2025“-ს უმასპინძლებს.**




„ჩელენჯერის სერიის“ შეჯიბრებები 2014-2015 წლების სპორტული სეზონიდან ათ სხვადასხვა ქვეყანაში იმართება და მის შედეგს სენიორების კატეგორიაში მოასპარეზე სპორტსმენებისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

კერძოდ, სწორედ ჩელენჯერის სერიის ტურნირებზე ეძლევათ სპორტსმენებს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მონაწილეობის მისაღებად ტექნიკური მინიმუმის ქულების დაგროვებისა და მსოფლიო სარეიტინგო სიაში მაღალი პოზიციის მიღწევის შესაძლებლობა. ამასთან, ეს ტურნირი სპორტსმენებს ახალი პროგრამების წარმოდგენისა და მეტი საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევს.

„ჩელენჯერის სერიის“ ტურნირის თბილისში ჩატარების თაობაზე წარმოდგენილი განაცხადებიდან საერთაშორისო საციგურაო კავშირმა, ახალი სეზონისათვის საქართველოს ფიგურული სრიალის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის – **მარიამ გიორგობიანის** ინიციატივით მომზადებული განაცხადი შეარჩია.

ფედერაციის მიერ მომზადებული განაცხადი ყველა კრიტერიუმით აკმაყოფილებდა ტურნირის ჩატარებისათვის სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტს, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე ჩვენი სპორტსმენების საერთაშორიოს არენაზე მიღწეული შედეგების გათვალისწინებით.

ამიტომაც, შერჩეული ათი ქვეყნიდან საქართველოს ფედერაციის განაცხადი იმ ოთხი ქვეყნის განაცხადს შორისაც აღმოჩნდა, ვისაც ოთხივე კატეგორიაში (მამაკაცები, ქალები, სპორტული წყვილები, სპორტული ცეკვები) ტურნირის ჩატარების უფლება მიეცა.

მიმდინარე წლის 8-11 ოქტომბერს, თბილისის ყინულის არენაზე დაგეგმილი ჩელენჯერის სერიის საერთაშორისო ტურნირი„თრიალეთის თასი 2025“ კიდევ ერთი სერიოზული გამოწვევა იქნებ ჩვენს ქვეყანაში ფიგურული სრიალის პოპულარიზაციისა და ამ რანგის ტურნირების ორგანიზების მიმართულებით.

# 1981-დან – 2025-მდე

**ხვალ 13 მაისია – თარიღი, რომელიც 44-ედ გაგვიფერადებს ქართული ფეხბურთის დიდგორს – დიუსელდორფის 1981 წლის ოქროს გაზაფხულს.**

როცა **ნოდარ ახალკაცის** გენიაზე ვსაუბრობთ, სათანადო პატივს მივაგებთ მისი რეფორმატორი წინამორბედის – **ანდრო ჟორდანიას** ნაღვაწს და არც ის გვავიწყდება, რომ წინა თაობების კერპთა ჩაყრილი ნერგით იხარა **ყიფიანის, ჩივაძის, დარასელიას, გუცაევისა** და **შენგელიას** ტალანტმა.

დღეს, როცა ზოგადად ქართული სპორტისა და, კონკრეტულად, სამამულო ფეხბურთის აღორძინების მომსწრენი ვართ და უკვე დამოუკიდებელი სანაკრებო მიღწევებითაც ვხარობთ, მოჭარბებული დოზით ვგრძნობთ ახალ წარმატებათა სიახლოვეს, რაც ბუნებრივად გვიჩენს მოთხოვნილებას, რომ უკვე მოვიდა დრო, 21-ე საუკუნეშიც დავიქუხოთ საკლუბო ძლევაი საკვირველითაც. დიახ, ისტორიები ხომ მეორდება ხოლმე.

ახლა კი, თქვენის ნებართვით, რაინშტადიონზე კარლ ცაისთან დადგმულ დაუვიწყარ სპექტაკლთან დაკავშირებულ რამდენიმე ფაქტს გავიხსენებ.

ფინალამდე 4 დღით ადრე საცხრამაისო პარადიდან ბარნოვზე სულმნათ **დევი კაჭარავას** ვეწვიე, რომელიც ისტორიაში მამზადებდა. გაკვეთილის შემდეგ ძვირფასმა მასწავლებელმა სრულწლოვანების შესრულება მომილოცა და სანაძლეოს დადება შემომთავაზა, თუ ვინ მოიგებდა გერმანულ ბრძოლას, მხარეთა მიერ ფურცლებზე ფარულად გაკეთებული პროგნოზები კი მეორე აბიტურიენტმა შეინახა. რაც შეეხება დამარცხებულს, ჩემ შემთხვევაში რაჭული ლორი უნდა მეკისრა, ბოჰემური ცხოვრების სტილის მოტრფიალე ცნობილი მეცნიერი კი ზაფხულის ცხელ დღეებში მისაღები გამოცდებისათვის ნაყოფიერად მოსამზადებლად 2 კვირით ზღვაზე გაშვებას დამპირდა.

საიდუმლო დოკუმენტების გახსნისას აღმოჩნდა, რომ ორივეს ზუსტად გამოგვიცნია შეხვედრის ანგარიში – 2;1 დინამოს სასარგებლოდ. აფსუს, რატომ არ არსებობდა მაშინ ტოტალიზატორები?!




სხვათა შორის, მოგვიანებით გაირკვა, რომ მსგავსი ვიქტორინა იმავე კორპუსში მცხოვრებ ეროვნული სასცენო ხელოვნების თანავარსკვლავედსაც მოუწყვია და ლეგენდარულ **ეროსი მანჯგალაძესაც** ზუსტი წინათგრძნობა ჰქონია, თუმცა, ეს ჯერ კიდევ არაა ყველაფერი.

მას შემდეგ, რაც სტუდენტი გავხდი, პრემიად საახალწლოდ მოსკოვში გასეირნება დავიმსახურე და, ჰოი საოცრებავ – სასტუმრო როსიას ადმინისტრატორი მეუბნება: ჩემი ქართველი მფრინავი ქმარი ბევრ ფეხბურთელთან ძმაკაცობს და ზოგიერთთან ერთად ჩვენს ოჯახში სატიტულო თამაშის ყურებისას იწინასწარმეტყველა თბილისელთა ტრიუმფი და ანგარიში 2:1-იო, ხოლო როცა მონაყოლის ჭეშმარიტებაში დაეჭვება შემატყო, მაშინვე აკრიფა სახლის ტელეფონის ნომერი და ნივთმტკიცებად მეუღლესთან მასაუბრა.

დავძენ, რომ მისი სახით საიმედო მეგობარი შევიძინე, რომელიც ირანშიც ასრულებდა ავიარეისებს და ფერეიდნელ თანამემამულეებთან ახლობლობდა, საბოლოოდ კი სამშობლოში დაიკრძალა.

# მეორე სიმაღლე

**ხვალ მსოფლიოს 2027 წლის საკალათბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა გაიმართება. ღონისძიებას ფორუმის მასპინძელი კატარის დედაქალაქი დოჰა უმასპინძლებს. წილისყრის შედეგად შევიტყობთ, თუ ვინ იქნება საქართველოს ეროვნული ნაკრების 3 მეტოქე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ ეტაპზე.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად იაპონიაში 2023 წელს ითამაშა და ჯგუფური ეტაპის დაძლევა მოახერხა. საქართველო მსოფლიოს პირველობაზე 16 საუკეთესო ნაკრებში მოხვდა და ახლა შანსი აქვს, მუნდიალზე ზედიზედ მეორედ იასპარეზოს.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი კონტინენტების მიხედვით განაწილდება. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაინტერესებს ევროპის საკვალიფიკაციო, რომელშიც მონაწილეობას 32 ნაკრები მიიღებს. აქვე აღვნიშნოთ, რომ ამ 32 გუნდიდან 24 ევრობასკეტ 2025-ის მონაწილეა, ხოლო დარჩენილი 8 ადგილისთვის ეს 12 ნაკრები იბრძოლებს აგვისტოში: ხორვატეთი, უკრაინა, უნგრეთი, ბულგარეთი, ჰოლანდია, ჩრდილოეთ მაკედონია, დანია, სლოვაკეთი, ნორვეგია, ავსტრია, რუმინეთი და შვეიცარია.

საქართველოს ნაკრები წილისყრის წინ ფიბა-ს მსოფლიო რეიტინგის შესაბამისად მე-4 კალათაში განითესა ფინეთთან, თურქეთთან და დანია-ხორვატეთს შორის გამარჯვებულთან. ეს ნიშნავს, რომ ეს გუნდები შესარჩევ ტურნირში არ შეგვხვდებიან. ევროპის შესარჩევი ტურნირი წინამორბედის ანალოგიური იქნება – 32 ნაკრები 8 ჯგუფში განაწილდება და თითოეული, 4-გუნდიანი ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე 3 საუკეთესო გავა. პირველი ეტაპის 6 მატჩისთვის გამოყოფილი იქნება 3 სათამაშო ფანჯარა, რომელიც 2025 წლის ნოემბერში დაიწყება და 2026 წლის ივლისში დასრულდება.

მეორე ეტაპზე გასული 24 ნაკრები 4 ჯგუფში განაწილდება. თამაშები 2026 წლის აგვისტოში დაიწყება, ნოემბერში გაგრძელდება და 2027 წლის თებერვალში დასრულდება. თითო ჯგუფიდან გასული 3-3 ნაკრები (ჯამში 12 ქვეყანა) მსოფლიოს 2027 წლის ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს.

# ამჯერად – ფინალისტობა

**ლოპოტაზე დასრულდა ქალთა შორის საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირი, რომელიც პეროლ იანგსულ ლიმ მოიგო.**

ამერიკელმა სპორტსმენმა, რომელიც მსოფლიო რეიტინგში 557-ე პოზიციაზეა, ფინალში **ეკატერინე გორგოძეს** სამ სეტში: 6:7, 7:6, 6:4 აჯობა.

შეხვედრა ქართველმა კარგად დაიწყო და პირველი სეტი მოიგო კიდეც, თუმცა მეტოქემ მაინც გაიმარჯვა. ამერიკელს 4, ხოლო გორგოძეს 1 ეისი ჰქონდა, სამაგიეროდ, ორმაგი შეცდომა ჩვენებურმა მხოლოდ ერთხელ, ლიმ კი 4-ჯერ დაუშვა.

აღსანიშნავია, რომ ტურნირს ნახევარფინალში გამოეთიშა კიდევ ერთი ქართველი სპორტსმენი **სოფო შაფათავა**, რომელმაც შეხვედრა, რომელიც მხოლოდ 58 წუთი გაგრძელდა, პირველივე სეტში, ქართულ დაპირისპირებაში დათმო.

შეგახსენებთ, რომ ეკატერინე გორგოძემ ერთი კვირის წინათ ლოპოტას პირველი ტურნირი მოიგო, ხვალიდან კი თბილისში საერთაშორისო ჩელენჯერი მამაკაცებს შორის დაიწყება, რომელშიც მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრები მიიღებენ – მათ მხოლოდ **ალექსანდრე მეტრეველი** დააკლდებათ.



# კარგი ამბები

### ფეხბურთი

ავსტრიის ბუნდესლიგის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა **ოთარ კიტეიშვილის** გრაცის შტურმმა, რომელმაც შინ 4:2 სძლია უშუალო მრისხანე კონურენტს – ზალცბურგს. მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს ელიტიდან გავარდნის კანდიდატებმა ჰაიდენჰაიმმა (**ბუდუ ზივზივაძე,** გერმანია) ბერლინში უნიონთან – 3:0, ემპოლიმ (საბა **გოგლიჩიძე,** იტალია) შინ პარმასთან – 2:1, სენტ ეტიენმა (**ზურიკო დავითაშვილი**, საფრანგეთი) რეიმსში – 2:0 და უკვე ევროტურნირების საგზურის მოსაპოვებლად მებრძოლმა ვალენსიამ (**გიორგი მამარდაშვილი,** ესპანეთი) შინ ხეტაფესთან – 3:0. ლიგა – 1-ში ასევე მოიგო უმოტივაციო გასვლითი შეხვედრა ვადამდელმა ჩემპიონმა პარი სენ-ჟერმენმა უკვე გავარდნილ მონპელიესთან – 4:1 (**ხვიჩა კვარაცხელიას** არ უთამაშია), ხოლო **გიორგი მიქაუტაძის** ლიონი მონაკოში 0:2 დამარცხდა და უევროპოდ დარჩა.

### ძიუდო

**ასტანაში დაწყებულ ყაზახეთის გრანდ სლემზე საქართველოს დელეგაციას პირველი მედალი მოუტანა ზაურ დვალაშვილმა, რომელმაც 60 კილოში ბრინჯაო დაიმსახურა.** აღსანიშნავია, რომ ჯვაროსნები, ამასწინანდელი უზბეკური გრანდ სლემის მსგავსად, ამჯერადაც ექსპერიმენტული შემადგენლობით ჭიდაობენ, რადგან გუნდის ძირითადი ბირთვი ერთ თვეში გასამართავი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება.



### ძალოსნობა

**პერუდან 13 მედლით დაბრუნდნენ 17 და 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ქართველი მონაწილენი.** უმეტესობის საგმირო საქმეების შესახებ უკვე გაუწყეთ. დამატებით გაცნობებთ, რომ ფორუმის ფინიშზე გვასახელეს **ჯაბა ტყეშელაშვილმა** (17-წლამდელები, ვერცხლი და 2 ოქრო) და ამავე 102 კგ წონით კატეგორიაში ასევე 17-წლამდელთა ნაკრების წევრმა **საბა ჩიხლაძემ,** რომელიც ბრძოლაში „ბ“ ჯგუფიდან ჩაერთო (3 ბრინჯაო).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
1922 წლიდან

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## პროფესორ

# ალექსანდრე ტალიაშვილის

## გარდაცვალების გამო, მწუხარებას გამოთქვამს



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე, საუნივერსიტეტო საზოგადოების სახელით, მწუხარებას გამოთქვამს აკადემიური საბჭოს წევრის, სამართლის დოქტორის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორის, ღვაწლმოსილი პედაგოგისა და მკვლევრის – ალექსანდრე ტალიაშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებსა და აღზრდილებს.

„77 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი ალექსი ტალიაშვილი შესანიშნავი მკვლევარი და იურისტი, აკადემიური საბჭოს წევრი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, რომელიც დიდ ძალისხმევას დებდა მომავალი თაობის პროფესიონალთა აღზრდაში, ადამიანი, გამორჩეული პიროვნული თვისებებით, სიბრძნითა და კეთილშობილებით, უნივერსიტეტისა და კოლეგების სიყვარულით.

პროფესორი ალექსი ტალიაშვილი სხვადასხვა დროს იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია და სახელმძღვანელო.

გულისტკივილით ვემშვიდობებით ძვირფას კოლეგას და უნივერსიტეტის სახელით, სამძიმარს ვუცხადებთ ბატონი ალექსის ოჯახს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს, მის მეგობრებსა და აღზრდილებს.

ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი“, – აღნიშნულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამძიმარში.

---

მიხეილ, ჯემალ, გიზო, მაგული, ქეთევან, დავით, ლევან, გოჩა, ლაშა კუხალაშვილები, ვალერი ასათიანი, მერი შათირიშვილი, ამბერკი, თენგიზ, ჟანა ტაბიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ყოველმხრივ გამორჩეული, დიდებული მეოჯახე, სამეგობროს ლიდერი, სიკეთით, უბრალოებითა და კაცური კაცობით დაფასებული, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული

# ალექსანდრე (ალიკო) ტალიაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, სამეგობროს და სრულიად საქართველოს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული, რომელიც თავისი მომხიბვლელობით გვიადვილებდა ცხოვრებას და გვილამაზებდა სიცოცხლეს.

---

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თანაუგრძნობს აკადემიის მთავარ აკადემიკოს-მდივანს, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძეს ძმის

# ირაკლი დიდებულიძის

გარდაცვალების გამო.

---

# ჩემო საყვარელო დოდო!



1989 წლის 9 აპრილი, ქართველი ერი დადგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთპიროვნული ლიდერების – დიდი მამულიშვილების ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას გვერდით.

ჩემო საყვარელო დოდო, შენ ხომ უანგაროდ შეუერთდი დიდი მამულიშვილების – ზვიადისა და მერაბის გზას და მათთან ერთად შეერკინე ბოროტებას...

სანთლით საძებნია ამ ქვეყანაზე შენისთანა ადამიანი...

საყვარელო დოდო, გელოდებით შენს საყვარელ სამშობლოში. უკანასკნელ გზაზე ჩემი დამძიმებული გული და ცრემლიანი თვალები წაიყოლე თან.

დალოცე შენი თამრიკო ოჯახით.

ვილოცებ შენთვის და უფალს ვთხოვ, შენს მეუღლესთან კარლო ტორონჯაძესათან ერთად ნათელში გამყოფოთ.

**შენი და მაყვალა (კუსა) ტორონჯაძე**

---



ძმა ზაური, ძმისშვილები მამუკა, ზაალი, ნათია, ზაზა, ძმისშვილიშვილები ლევანი, გიორგი, დათო, თეკლა, ანასტასია, რძლები ლილი, მაია, ქეთინო, სოფიკო, ლიკა, მარიამი, კახა, ნუგზარ ბერიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული პედაგოგი

# დოდო თედორეს ასული თელია

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს, სამეგობროს და სანათესაოს.

---

დარეჯან ელიაძე, მარინა კანდელაკი, გურამ გუნავა, სპარტაკ ქობულია თანაუგრძნობენ ლილი და ზაურ თელიებს და მათი ოჯახის წევრებს დის, ღირსეული, კეთილშობილი ქალბატონის

# დოდო თელია-ტორონჯაძის

გარდაცვალების გამო.

---




# „რატის ბარში“ ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს!

**თბილისში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ბარში 30 წლამდე ახალგაზრდა მოკლეს. გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევა გუშინ გამთენიისას ბარის შიდა ტერიტორიაზე მოხდა.**

„რატის ბარში,“ სადაც გამთენიისას ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს, საგამოძიებო მოქმედებები დასრულდა. ექსპერტ-კრიმინალისტები ადგილზე საგამოძიებო მოქმედებებს 8 საათის განმავლობაში ატარებდნენ. ამასთან, სამართალდამცველებმა „რატის ბარი“ დალუქეს.

როგორც ირკვევა, ახალგაზრდას სასიკვდილო ჭრილობები ყელის არეში ცივი იარაღით მიაყენეს. რა გახდა დანაშაულის მიზეზი, ამ ეტაპზე უცნობია.

მომხდარი მკვლელობის ფაქტზე, პოლიციამ ერთი პირი დააკავა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 108-მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# 19 წლის გოგო, რომელსაც მდინარე რიონში ეძებდნენ, გარდაცვლილი იპოვეს!

**მეხანძრე-მაშველებმა ცხედარი მდინარე რიონში ნახეს. სამძებრო სამუშაოებში მყვინთავები მონაწილეობდნენ. ადგილზე მობილიზებული იყვნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ჯგუფები.**

19 წლის გოგოს ძებნა ღამით, ბალახვნის ხიდის მიმდებარედ დაიწყო და ძებნა მიმდებარე პერიმეტრზე გაგრძელდა...

# ძველ სენაკში 840 წლის ჭადარი ქარმა წააქცია!

**ძლიერმა ქარმა საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი 840 წლის აღმოსავლეთ ჭადრის ხე წააქცია. შემთხვევა სენაკის მუნიციპალიტეტის ძველ სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში მოხდა.**



მომხდარმა გზის ჩახერგვა გამოიწვია. **„ძველი სენაკი 840 წლის ჭადრის ისტორია დასრულდა!“,** – წერს სენაკის ქრონიკა.

# მარნეულში მუშა გარდაიცვალა



**მარნეულში საკანალიზაციო არხის თხრილში ორი მუშა ჩავარდა, მათგან ერთი გარდაიცვალა.**

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

# 16 წელს მიუღწეველ პირთან გარყვნილი ქმედების ფაქტზე 60 წლის მუსიკის მასწავლებელი დააკავეს

**ხაშურში, 16 წელს მიუღწეველ პირთან გარყვნილი ქმედების ფაქტზე, 60 წლის მუსიკის მასწავლებელი დააკავეს. დაკავებული მოსწავლეებს დაბა აგარასა და ხაშურის მუსიკალურ სკოლებში ხალხურ საკრავებზე დაკვრას ასწავლიდა.**

„კურიერის“ ინფორმაციით, დაკავებულს დაზარალებული 15 წლის გოგონა გაკვეთილზე ხშირად საკუთარი მანქანით დაჰყავდა. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით მიმდინარეობს.

## საქართველოს კულტურის სამინისტრო:

# ხუთ მუზეუმში რეაბილიტაციის პროცესი იწყება




**სამინისტროს ინფორმაციით, პირველ ეტაპზე, განსაკუთრებული და გადაუდებელი საჭიროების მქონე ხუთი მუზეუმი გამოიკვეთა. ესენია: გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ვაჟა ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, ტიციან და გალაკტიონ ტაბიძეების სახლ-მუზეუმები და დადიანების სასახლის პირველი ისტორიული შენობა.**

საქართველოს კულტურის მინისტრი გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში იმყოფებოდა, საიდანაც უახლოეს მომავალში ექსპონატებს დროებით საჯარო ბიბლიოთეკის საცავებში გადაიტანენ. იქვე გააგრძელებენ მუშაობას მუზეუმის თანამშრომლები რეაბილიტაციის პერიოდში.

**„ყველა მუზეუმს სჭირდება მოვლა-პატრონობა, მაგრამ პირველ ეტაპზე, სადამდეც მივედით საბუთებით, პროექტირებით, ხარჯთაღრიცხვებით, გასაწევი სამუშაოებით, ეს პირველ ხუთეულში მოხვდება. ეს ის პრიორიტეტებია, რომელიც მხოლოდ მუზეუმებს ეკუთვნის. ლეონიძის მუზეუმიდან დროებით გადავიყვანთ, ეს რომ დამთავრდება და აღიჭურვება, შემდეგ დაბრუნდებიან, თუმცა, საჯარო ბიბლიოთეკის სპეციალურ საცავებში იქნება ეს ყველაფერი დაცული, ანუ სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ შესაბამის პირობებში გადავლენ“,** – განაცხადა კულტურის მინისტრმა **თინათინ რუხაძემ.**

ლიტერატურის მუზეუმის შენობას, რომელიც 1850-იან წლებშია აგებული, გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ რეაბილიტაცია არ ჩატარებია.



# კონკურსის დაჯილდოება და დასკვნითი საღამო

**„ქართული ხმა 2025“ – კონკურსის დასკვნითი საღამო და დაჯილდოება გაიმართა.**

კონკურს-ფესტივალი, რომლის იდეის ავტორი და ორგანიზატორი მომღერალი სოფო ბედიაა, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება. კონკურსის მიზანია ქართული სიმღერის პოპულარიზაცია და ნიჭიერ ბავშვთა, მოზარდთა აღმოჩენა.

# „დრო – ენა, მამული, სარწმუნოება“ – პანტომიმის თეატრის საპრემიერო სპექტაკლი

**ამირან შალიკაშვილის სახელობის თბილისის პანტომიმის სახელმწიფო თეატრს დაარსებიდან 60 წელი შეუსრულდა.**

როგორც თეატრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ამ თარიღის აღსანიშნავად 2025 წლის 13 მაისს, 20 საათზე, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლის განახლებულ დარბაზში გაიმართება საზეიმო ღონისძიება. წარმოდგენილი იქნება საპრემიერო ჩვენება სპექტაკლი – **„დრო – ენა, მამული, სარწმუნოება“.**




**რეჟისორი: დავით შალიკაშვილი; ქორეოგრაფი: ნინო ლორთქიფანიძე; მხატვარი: ნინელო ფიცხელაური. მისამართი: გ.ლეონიძის 11ა.**

# ნიდერლანდების ქართული თეატრი „ათინათი“– საბერძნეთის დედაქალაქში



**ნიდერლანდების სამეფოში მოქმედმა ქართულმა სამოყვარულო თეატრმა „ათინათმა” საბერძნეთის დედაქალაქში ორი სპექტაკლი წარმოადგინა.**

პირველ დღეს მაყურებელმა „დარისპანის გასაჭირი“ იხილა, ხოლო მეორე დღეს რეჟისორ ბადრი წერედიანის მიერ დადგმული „სამანიშვილის დედინაცვალი“ იყო წარმოდგენილი. სპექტაკლებმა ანშლაგით ჩაიარა. სხვადასხვა დროს ორივე სპექტაკლს საერთაშორისო სამოყვარულო ფესტივალებზე გრან პრი და მნიშვნელოვანი ჯილდოები აქვს მოპოვებული.

# „ნათელა იანქოშვილი კერძო კოლექციებიდან“ – წინანდლის მუზეუმში



**11 მაისს წინანდლის მუზეუმში ნათელა იანქოშვილის გამოფენა გაიხსნა – „ნათელა იანქოშვილი კერძო კოლექციებიდან“.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, ცნობილი ქართველი ფერმწერის, გრაფიკოსისა და ილუსტრატორის ნამუშევრების დათვალიერება ჭავჭავაძეების წინანდლის მამულის სტუმრებს ორი თვის განმავლობაში შეეძლებათ.




# ფესტივალი „გალობის მერცხლები“ – სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში

**სალოტბარო სკოლების ფესტივალში წელს უპრეცედენტო რაოდენობის – 1000-მდე მოსწავლე მონაწილეობს.**

პროექტი ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარეობს. სვეტიცხოველში აღმოსავლეთ საქართველოს სალოტბარო სკოლის მოსწავლეები შეიკრიბნენ და აღდგომის დღესასწაულის საგალობლები შეასრულეს. ღონისძიების შემდეგ, მონაწილეებმა ცნობილი ლოტბარის და მგალობლის ლია სალაყაიას ხსოვნას მიაგეს პატივი, რომელიც სამთავროს მონასტერშია დაკრძალული. ფესტივალის მეორე ეტაპი 12 - 13 მაისს ბაგრატის საკათედრო ტაძარში გაიმართება, სადაც დასავლეთ საქართველოს სალოტბარო სკოლები შეიკრიბებიან.



**„გალობის მერცხლები” გასულ წელს დაფუძნდა და მიზნად ისახავს სალოტბარო სკოლის მოსწავლეების მიერ ქართული ტრადიციული გალობის გაცოცხლებას ტაძრებში ღვთისმსახურებისას.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქოგულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 14 მაისს**